№ 126 ოთხშაბათი, 10 ივნისი 1909 წ. № 126

# დროება

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, ... და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ინახება ერთის თვით ... მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა ... დღამდის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეთ ღირს 1 მან., ზღვლ ხზვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

„დროების“ დღევანდელ № 24 გვერდია

(განცხადებანი საჯარო ვაჭრობის შესახებ ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში)

გაზეთის მკითხველებს ვთხოვთ, გამოიცავენ მოსთხოვონ ყველა ფურცელი.

## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

---

12 ივნისს სოფელ სტეფან წმინდაში გარდაიცვალა

ანდრია (ყასპოლატ) ბაადურის ძე ყაზბეგი,

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დედა და ძმა.

---

ვასილ სოლომონის ძე, პელაგია დავითის ასული, ანნა ვასილის ასული ჩერქეზოვები, ზაქარია, ივანე, ნატალია დავიდოვები, სოფიო თარხნიშვილისა, ნინა ნაკაშიძისა და ეფემია მზარეულიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ვერაგულად მოკვლას

სანდრო ჩერქეზოვისას.

განსვენება ცხედრისა 10 ტიბათვეს, დილის 10 საათზე, სახლიდან (არხანგელის ქ., № 26, ბანკის სახლი) პეტრე-პავლეს ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე სასაფლაოზე. (1—292—1)

---

სახაზინო თეატრი

შაბათს, 13 ივნისს

ავადმყოფ მსახ. ს. სვიმონიძის სასარგებლოდ

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

საით მივდივართ?

დრამა 5 მოქმედებად ხიზილმინკლ სამარინისა, თარგმანი აკაკი წერეთლისა.

მონაწილეობას იღებს მთელი ამხანაგობა.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ ს.

(5—2)

---

დილის წარმოდგენა

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

კვირას, 14 ივნისს, 1909 წ. ქართულ სახალხო თეატრის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

კავკასიელები

ტრაგ. 5 მოქ. ან. ფურცელაძისა.

(სცენები ტატო წულუკიძის ცხოვრებიდან).

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი ჯაბაურისა, რჩეულოვი, მარგველაშვილი; ბ-ნნი ჯაბაური, ევდოშვილი, გულიკურაშვილი, რევაზოვი, დეკანოზოვი, სალაყაია, ან შვილი, ინაშვილი, გარსევანიშვილი, ხანდელი, ჭანკვეტაძე, საყვარელიძე, ალექსაშვილი და სხვანი. დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი სწორედ შუადღის 12 საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში ყოველდღე დილით 10—12 ს. და საღამოთი 5—7 ს.

რეჟისორი გ. ჯაბაური. (3—6.—1) გამგე გ. დეკანოზოვი.

---

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოთით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი შიოვანისა. (უ)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—97)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის საშ. ჟურნალისა მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ხ. 83)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ახვლედიანის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—165)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ მან უკვე დაიწყო მოქმედება და სთხოვს ქართველ ხალხში განათლების გავრცელების თანამგრძნობელთ ჩაეწერნენ განყოფილების წევრებად ან გაუწიონ მას ნივთიერი დახმარება და ამით მისცენ საშუალება პირნათლად შეასრულოს თავისი დანიშნულება.

საწევრო ფული და შემოწირულება მიიღება ქუთაისში: ქართულ გიმნაზიაში—იოსებ ოცხელთან, ქალაქის გამგეობაში—იაკობ ფანცხავასთან, შავი ქვის მრეწველთა საბჭოში—გიორგი ზდანოვიჩთან და განყოფილების ხაზინადართან—ბართლომე მოსეშვილთან. (10—6.—3)

## ტფილისი, 10 ივნისი

დასრულებულ სესსიის საზოგადო დახასიათებისა და მის გარეგან მხარეების აღწერის შემდეგ შევუდგეთ სათათბიროს ნამუშევარის მთავარ აქტების დაფასებას.

პირველ ყოვლისა, ჩვენი ყურადღება, რასაკვირველია, სახელმწიფო ბიუჯეტის საქმეს უნდა მივაპყრათ. ბიუჯეტი—უპირველესი და უმთავრესი საქმეა სახალხო წარმომადგენლობისა. თითქმის მთელი აზრი წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობისა იმაშია, რომ ნამდვილი კონტროლი გაეწიოს სახელმწიფოს შესავალ-გასავლის საქმეს, რას იღებს ხალხისაგან მთავრობა და როგორ ხარჯავს ხალხისაგან მიღებულ ფულს,—ამ საქმის განკარგება და მოწესრიგება უპირველესი მოვალეობაა პარლამენტისა, და მისი მნიშვნელობა, ღირსება ძლიერება ყველგან იმის მიხედვით ფასდება, თუ რამდენად ნაყოფიერია მისი კონტროლი სახელმწიფო ბიუჯეტზე.

ამ მხრივ განვლილი სესსიაც ისეთივე უნაყოფოა და უმნიშვნელო რუსეთისათვის, როგორც წინანდელი სესსიები: დავიწყოთ იქიდან, რომ სათათბირომ კიდევ ვერაფერი გააწყო თავის საბიუჯეტო უფლების გასაფართოვებლად. როგორც იცით, რუსეთის პარლამენტს, 8 მარტის კანონის წყალობით, ერთობ შეზღუდული საბიუჯეტო უფლება აქვს. თითქმის ნახევარი ნაწილი შემოსავალ-გასავლისა ხელშეუხებლად არის აღიარებული და, ბევრსაც რომ ეცადოს, ამ ნაწილში სათათბირო ვერავითარ განკარგებას ვერ მოახდენს. მეორე სათათბირომ დიდი ყურადღება მიაპყრო ამ გარემოებას და შეუდგა ამ უფლების გაფართოვებისთვის ზრუნვას, მაგრამ არ დასცალდა. მესამე სათათბირომ-კი ორის წლის განმავლობაში ამისთვის არაფერი მოიმოქმედა. კარგა ხანია კადეტების ფრაქციამ წარუდგინა კანონპროექტი საბიუჯეტო უფლების გაფართოვების შესახებ, მაგრამ უმრავლესობამ უყურადღებოდ დასტოვა ეს და კანონპროექტი მთელ გასულ სესსიის განმავლობაში განისვენებდა რომელიღაც მცირე კომისიაში.

8 მარტის კანონის მეოხებით და, საერთოდ, მესამე სათათბიროს უმრავლესობის სისუსტის მეოხებით, რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტი განაგრძობს იმავ უნუგეშო მდგომარეობაში ყოფნას, როგორშიაც ძველ რეჟიმის დროს იყო. შემოსავლის მხრით მთელი მისი ტვირთი და საშინელი ტვირთი ქვეყნის მშრომელ ელემენტებს აწევს კისერზე, ხოლო გასავლის მხრით მისი უდიდესი ნაწილი ისევ ისე უსარგებლოდ იხარჯება ხალხისათვის, როგორც წინად. სათათბიროს ჯერ ხელიც არ გაუნძრევია მთელ საბიუჯეტო სისტემის რეფორმისათვის, ხოლო წვრიმალ შეკეთებათა შესახებ ყოველ განხილვის დროს მრავალ „სურვილებს“ აცხადებს ხოლმე, მაგრამ მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ სურვილებს. ამნაირად, რუსეთის პარლამენტი სრულიად უძლურია ამ მხრით და სრული გამგე-პატრონი სახელმწიფო ბიუჯეტისა ისევ მმართველი ბიუროკრატია არის: იგი აგროვებს **ორ მილიარდ ნახევარ** მანეთს უმთავრესად მშრომელ ხალხში,—იმ ხალხში, რომელიც შიმშილს განიცდის ყოველ წელს, და ამოდენა ფულს ხარჯავს იმ საჭიროებებზე, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ხალხის კეთილდღეობის საქმესთან. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ერთ მილიარდზე მეტი, ე. ი., მთელ ბიუჯეტის მესამედი იხარჯება ჯარსა და ფლოტზე, ხოლო სახალხო განათლებაზე რამდენიმე ათი მილიონი!..

განვლილ სესსიას წინანდებურად წარედგინა დიდ დეფიციტიანი ბიუჯეტი; დეფიციტი უდრიდა 153 მილიონ მანეთს. მთავრობა იმ თავითვე მოითხოვდა, ამ დეფიციტის დასაფარავად სესხის აღების ნება მოგვეცითო. სათათბირო არ შევიდა საქმის გამოძიება-განხილვაში, არ შეეცადა ხარჯების შემცირება-გაწესრიგებით დეფიციტის თავიდან მოშორებას და იმ თავითვე (დეკემბერში) ნება დართო მთავრობას ახალ სესხის აღებისა. მთავრობამაც ძლივს, საშინელის პირობებით, ისესხა 139 მილიონი მანეთი ნაცვლად ნებადართულ 150 მილიონისა და წელს ამით გაიმართა ხელი. მაგრამ, რადგან ბიუჯეტის საქმის განკარგება ახლო მომავალში მოსალოდნელი არაა, მთავრობა შემდეგ წლებშიაც იძულებული იქნება სესხებს მიჰმართოს და ამრიგად ყოველწლივ უფრო და უფრო დახლართოს და გააფუჭოს სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობა. ასეთი ყოფა სრულ გაკოტრებას უდრის, მაგრამ ბიუროკრატია ყურსაც არ იბერტყავს და მორჩილი სათათბიროც გულდამშვიდებით ამტკიცებს ბიუჯეტს... მარტო ეს ფაქტი, მარტო ასეთი საბიუჯეტო პოლიტიკა მესამე სათათბიროსი საკმარისია იმ უძლურებისა და არარაობის დასახასიათებლად, რომელიც მთავარ თვისებას შეადგენს რუსეთის თანამედროვე კონსტიტუციისას...

განვლილ სესსიის განმავლობაში სათათბირომ 50 მილიონით შეამცირა ბიუჯეტი; ამის კვალობაზე დეფიციტი შემცირებულ იქმნა 26-27 მილიონით; მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ მთავრობა მაინცა და მაინც ყურადღებას არ აქცევს ამ შემცირებას: შეიძლება საერთო ჯამი შეამციროს, მაგრამ ხარჯის სტატიებს თვითონ აირჩევს და იმ სტატიებს შეამცირებს, რომელიც სათათბიროს არც უფიქრია; სადაც უნდა იქ მეტსაც დახარჯავს, ხოლო შემცირებას არგუნებს, მაგალითად საერო განათლების საქმის ხარჯებს. ასე მოქცეულა წინადაც, ასე მოიქცევა ახლაც და სათათბირო უძლურია, ხელი შეუშალოს... სესსიის დასასრულს სათათბირომ მოინდომა რაღაც 6 მილიონის გადადება სახალხო სკოლებისათვის შენობათა ასაგებად. მაგრამ მთავრობა წინაღუდგა ამ განზრახვას ისეთის ენერგიით, რომ ოქტომბრისტების ცენტრი დაფრთხა და თავი მიანება თავისავე გეგმას. სამაგიეროდ, სამხედრო და საზღვაო სამინისტროებმა დამატებითი 75 მილიონის „სათუო კრედიტები“ გაიხსნეს...

ასეთი უძლური და უნაყოფო იყო საბიუჯეტო მუშაობა ახლად დასრულებულის სესსიისა. ყოველივე ისევ ძველებურს ადგილზე რჩება ამ მხრითაც რუსეთში, და განახლების ნიშანწყალი არ ატყვია. ხალხს შიმშილისაგან კუჭი გაუხმა, ხაზინას-კი ყოველ წელს 2½ მილიარდი შემოსავალი აქვს, რომლის უდიდესი ნაწილი იხარჯება ჯარსა და ფლოტზე, ციხეებზე და ჯამაგირ-პენსიებზე. პარლამენტი-კი, რუსეთის თანამედროვე საკონსტიტუციო პირობებში, სრულს უძლურებას იჩენს თავის მთავარ მოვალეობის ასრულების საქმეში...

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ჯაფარიძისა. (უ)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო საავადმყოფო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

(წლ.—6.—80)

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ივნისი

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** რადგან ჯევად-ფაშის მოქმედების შესახებ ალბანიაში სხვა და სხვა საშიში ხმა დადის, დეპუტატთა პალატას შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე შეკითხვა შეაქვს.

**ვენა.** „კორესპონ.-ბიუროს“ სალონიკიდან ატყობინებენ: ნიიანიდან მოსულ ამბით, ციცის მახლობლად ბერძნების რაზმს და ჟანდარმებს შეტაკება მოჰსვლიათ. შეტაკებამ რამდენსამე საათს გასტანა. მოკლულია სამი კაცი, დაჭრილია ერთი. კლასსონიდან იუწყებიან, რომ ბერძნების რაზმი სოფ. პოლიანს დაეცაო.

### სპარსეთი

**თავრიზი.** კვირას რუსის ჯარი გადავიდა შაჰის ბაღში, ბაღი ნომალში. რაზმმა მუსიკით და სიმღერით გაიარა მთელი ქალაქი. ქუჩები და სახლის სახურავები მცხოვრებლებით იყო სავსე. ბაღში ჯარს დაუხვდნენ კონსული და საკონსულოს მოხელენი.

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** 7 ივნისს, საღამოთი, განსაკუთრებულ ვაგონებით მოვიდნენ: სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დეპუტატები: ხომიაკოვი, გუჩკოვი, ზვიაგინცევი, ლერხე, შიდლოვსკი, კრიუდენერი, სტრუვე, გრაფი ბობრინსკი მეორე, მონტვილი, მაკსუდოვი, მაკლაკოვი, ჩელნოკოვი, ეფრემოვი, სლახოვიჩი, გრაფი ოლსუფიევი და გლებოვი. რადგან დეპუტატები კვირა დღეს მოვიდნენ, ამიტომ მათ დიდის ამბით ვერ დაჰხვდნენ. დეპუტატების მისაღებ კომიტეტში შედიან: გრეი, ბალფური, კენტერბერიის და იორკის მთავარ-ეპისკოპოსები, ლორდები: კრომერი, დჯერსი, ეზბარი, ბრასსკი, კერზონი, უერდელი, ხენდერსონი და დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე, ლონდონის, ლივერპულის და სხვების ლორდ-მერები. გაზეთები დეპუტატების ჩამოსვლას ოფიციალურ ხასიათს არ აძლევენ, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ინგლისსა და რუსეთს გულით სურთ ერთმანეთთან პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ურთიერთობა დაიჭირონო.

„დეილი-გრაფიკი“, „დეილი-ნიუსი“ და „მარნინი“ მეთაურ წერილებში სიხარულით აღნიშნავენ სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დეპუტატების ჩამოსვლას და ჰფიქრობენ, რომ მათი ჩამოსვლა განამტკიცებს ინგლის-რუსეთის ურთიერთობასაო.

**კოპენჰაგენი.** ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ გრენლანდიაში გემ „ალაბამით“ ექსპედიცია წავიდა.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ფეციდან ატყობინებენ: რაგის ჯარმა დაამარცხა შარიფის ჯარი. შარიფის ჯარს უფროსობდა ულიდ-მაჰომედი. ყოველ მხრიდან ფეზში მოდიან გამოქცეულები.

**კალკუტა.** მინჯურასა და ენნორას შუა ფოსტის მატარებლის რელსებიდან გადავარდნის დროს მოკვდა 15 კაცი.

**ლივერპული.** ირლანდიის კათოლიკეებს და პროტესტანტებს დიდი შეტაკება მოუვიდათ. მიზეზი—სარწმუნოებრივი უთანხმოებაა. რამდენიმე სახლი გაძარცვეს, ერთს ცეცხლი წაუკიდეს. ცხენოსან პოლიციას დემონსტრანტები ქვებით დაუხვდნენ. დააპატიმრეს 50 კაცი, დაშავდა რამდენიმე პოლიციელი.

**ლონდონი.** სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს დეპუტატებმა ინახულეს პრემიერ-მინისტრი გარეშე საქმეთა მინისტრი, ორთავე პალატის წარმომადგენლები, კენტერბურის მთავარ-ეპისკოპოსი და სხვები.

**ლონდონი.** საერთაშორისო კავშირის ინგლისელთა ჯგუფის თავმჯდომარე უერდელი მისალმებ კომიტეტის სახელით „ვესტმინსტერის სასტუმროში“ მიესალმა სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დეპუტატებს. უერდელს პასუხი გასცეს ხომიაკოვმა და ზვეგინცევმა. მათ იმედი გამოსთქვეს, რომ რუს დეპუტატების ჩამოსვლა განამტკიცებს ინგლის-რუსეთის მეგობრულ განწყობილებას. პროფესორმა რობერტსმა და დოცენტებმა წინადადება მისცეს დეპუტატებს, ლონდონს გაეცნობთო, რადგან მეცნიერება და ცოდნა საუკეთესო ნიადაგია დაახლოვებისთვისაო. რობერტს უპასუხა მილიუკოვმა. დანარჩენი ჯგუფები ლონდონის პროფესორების და დოცენტების ხელმძღვანელობით ლონდონის დასათვალიერებლად წავიდნენ. საღამოთი დეპუტატებმა მეფის და უელსის პრინცის სასახლეში ხელი მოაწერეს სტუმრების წიგნში.

**ვენა.** საკასაციო სასამართლომ არ შეიწყნარა საკასაციო საჩივარი სიჩინსკისა, რომელსაც სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი. სიჩინსკიმ მოჰკლა გალიციის ნამესტნიკი გრაფი პოტოცკი.

**შანხაი.** იმპერატორის ბრძანებით, მოხელეებს ეკრძალებათ ოპიუმის მოწევა.

### რუსეთი

**ბლაგოვეშჩენსკი.** მოვიდა გემი „ვლადიმერი“, რომელსაც ოქრო და ფული მოჰქონდა. გასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ დაკარგულა 15,400 მანეთის ოქრო და 8,844 მანეთის ფული.

**ხაბაროვსკი.** ვაჭარ მუსტახიტლინოვს სეირნობის დროს მოსტაცეს 9 წლის ბავშვი. მეორე დღეს მასთან მივიდა უცნობი კავკასიელი და წინადადება მისცა, შვილი 76,000 მანეთად გამოიყიდეო. მუსტახიტლინოვმა ეს პოლიციას აცნობა. ბოროტ-განზრახველმა რევოლვერით მოჰკლა მუსტახიტლინოვი, მერე თვითონ დაირტყა რევოლვერი. უცნობი საავადმყოფოში წაიყვანეს.

**პეტერბურგი.** 7 ივნისს ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სააქტო დარბაზში პეტერბურგის ქალაქის თავის თავმჯდომარეობით გაიხსნა მთელის რუსეთის ოთხკლასიან საქალაქო სკოლების მასწავლებელთა კრება. სახალხო განათლების მინისტრმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა კრებას. კრება გაიყო სექციებად. აქვე კრებასთან გაიმართა პედაგოგიური გამოფენა.

**მოსკოვი.** 7 ივნისს გაიმართა ოთხის წლის ცხენების დოღი. გაიმარჯვა შუბინსკის ცხენმა „კრასა“-მ.

სომხის კათალიკოსი იზმირლიანი წავიდა დონის როსტოვში.

**პეტერბურგი.** წარსულ დღე-ღამეში პეტერბურგში ხოლერით ავად გახდა 340, მოკვდა 19 კაცი.

**ირკუტსკი.** დაიმალა აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-26 პოლკის ხაზინადარი, რომელსაც ბანკიდან, ყალბის რწმუნების წერილით მიეღო 161,000 მანეთი პოლკის ფული.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭომ დიდის ხმის უმეტესობით დაამტკიცა სათათბიროს კანონპროექტი იმის შესახებ, რომ ცხრა დასავლეთ გუბერნიაში სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევანი გადაიდვას და მათი რწმუნების ვადა გაგრძელებულ იქნას.

**პეტერბურგი.** მიწად მოქმედების უმთავრეს მმართველობის სასოფლო სამეურნეო და სასოფლო ეკონომიის განყოფილებამ შეიმუშავა პროექტი იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა მიეცეს მეურნეებს სესხი მიწისა და მეურნეობის ნაირ-ნაირ დარგს გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის ნაწარმოების შესამუშავებლად და ამ ნაწარმოების გასასაღებლად. ამ სესხის მიღება შეუძლიანთ საერობო დაწესებულებათ, საკრედიტო ამხანაგობათ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელებსაც საკმაო კრედიტი ექნებათ. 10,000 მანეთზე მეტის სესხის მიღებისთვის საჭიროა ნებართვა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის განსაკუთრებულ კომიტეტისა, ხოლო სხვა სესხისთვის—საგუბერნიო კომიტეტებისა.

**სიზრანი.** თათრების სოფელ ახტუბეში დაიწვა 72 სახლი. ბევრი უსახლ-კაროდ დარჩა.

**მოსკოვი.** რადგან განსაკუთრებული წესები გაუქმდა, გუბერნატორმა და გრადო-

ნაჩალნიკმა გააუქმეს მრავალი სავალდებულო დადგენილება, ზოგიერთი სავალდებულო დადგენილება ძალაში რჩება, მხოლოდ ჯარიმა შემცირდა 5000 მანეთამდის. ბეჭვდითი სიტყვის შესახებ ყველა სავალდებულო დადგენილება ძალაში დარჩება. ჯარიმა 500 მანეთამდის შემცირდა.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომას 8 ივნისს ბევრი ხმოსანი და ხალხი დაესწრო. ხმ. ხუნუნცი შეეკითხა ქალაქის თავის მოადგილეს: რა მიზეზია, რომ დღეს საბჭოს განსახილველ საქმეთა სიაში არ არის შეტანილი გამგეობის დადგენილება სომეხთა ქათალიკოსის მიგებების შესახებ ტფილისის მცხოვრებთა სახელითაო. მოურავის მოადგილემ სთქვა: როცა გავიგეთ, რომ ქათალიკოსი ტფილისში უნდა ჩამოვიდეს, გამგეობამ დაადგინა შემუშავდეს მიგებების ისეთივე წესი, როგორითაც მიღებულ იქნა განსვენებული ქათალიკოსი ხრიმიანი. ეს ამბავი გაზეთებში დაიბეჭდა. შემდეგ გამგეობამ გაიგო, რომ მათეოს მეორეს მისაღებად ტფილისში საზოგადოებრივი ოფიციალური უნდა იქნას შემუშავებული. როცა შესაძლებლად იცნობს გამგეობა, ამ საკითხის შესახებ მოხსენებას მაშინ წარმოგიდგენთ განსახილველადაო. საბჭომ რამდენიმე წვრილმანი საქმე განიხილა და შემდეგ მოისმინა გამგეობის მოხსენება ქალაქის თავის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის ავადმყოფობის შესახებ. ექიმების გამოკვლევით ავადმყოფს სამ თვეს დასჭირდება საფრანგეთში ექიმობა. საჭიროა 3000 მანეთი. საბჭომ გადასდო ეს ფული და დაავალა ქალაქის თავის მოადგილეს თანაგრძნობა გამოუცხადოს პატივცემულ ავადმყოფს და უსურვოს მალე გამომთელება ქალაქის საკეთილ დღეოდ. საბჭოს სხდომამ ღამის $12^1/_2$ საათამდე გასტანა. მთელი სალამო საბჭომ მოანდომა უსახელო საზოგადოების შუამდგომლობის განხილვას ავჭალისა და ნაძალადევის რკინის გზის ვადის გადადების შესახებ. ინჟინერს ლებონს დამატებითი განცხადება შეუტანია: უსახელო საზოგადოება თანახმაა 20,000 მან. მისცეს ქალაქს, თუ იგი საჩივარს აღარ განაგრძობს 60,000 მანეთ ჯარიმის შესახებო; საზოგადოება ამასთან წინააღმდეგი არ იქნება, თუ მუხრანის ხიდის დამთავრების ვადა გადიდებაო. ხმოს. გ. ი. ხატისოვი ამტკიცებდა, რომ ეს საქმე დიდად სერიოზულია და ასე ნაჩქარევად ნუ გადავწყვეტავთო. უმჯობესი იქნება საკითხი გადავდვათ შემოდგომამდი, შევისწავლოთ საქმის ვითარება, გავიგოთ ტრამვაის შემოსავალ-გასავალი და მაშინ შევუდგეთ განხილვასაო. ხატისოვს მხარი დაუჭირა ივ. ს. ჯაბადარმა, ნ. ელიავამ, ხუნუნცმა, ტიგრანოვმა და სხვებმა, ათამდე კაცმა. ხმოსანთა უმრავლესობა ი. მ. დოლუხანოვისა, ფრიდონოვისა და გამგეობის წევრის ა. ი. ხატისოვის მეთაურობით წინააღუდგა უმცირესობას და საჭიროდ სცნო საკითხის ეხლავე განხილვა და გადაწყვეტა. ი. მ. დოლუხანოვმა კარგა ხანს ილაპარაკა. იგი არ ჩამოუვარდა უსახელო საზოგადოების დაცვაში საზოგადოების ვექილს ბ-ნ სეგალს, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა საბჭოში ლებონის დავალებით.

ხმის უმრავლესობით დაადგინეს, რომ საკითხი ამავე სალამოს გადაწყვეტილიყო. შემდეგ საბჭომ მიიღო უსახელო საზოგადოების შუამდგომლობა, შემდეგის პირობით: უსახელო საზოგადოება იხდის 30,000 მანეთს; რაოდენობა მოძრავ ვაგონებისა ქალაქის ტრამვაიზე საბჭომ დააწესოს; შეცვლილ იქმნას მე 45 მუხლი ხელშეკრულებისა ქალაქის სასარგებლოდ და სხვა. ავჭალისა და ნაძალადევის რკინის გზის გაყვანის ვადა გაგრძელებულ იქნება 1911 წლის 1 ივნისამდე.

✦ **სოფლების დაჯარიმება.** ქუთაისის გენ.-გუბერნატორის განკარგულებით ოზურგეთის მაზრის ასკანის და დუაბზუის საზოგადოებები დაჯარიმებულ იქმნენ, თითოეული 3000 მან. როგორც ვიცით, ს. დუაბზუში ამას წ-ნად დასჭრეს მღ. ი. ლოლონტი, ასკანაში კი მოჰკლეს სტრაჟნიკი. მისივე განკარგულებით სენაკის მაზრის ს. ტყვირის მცხოვრებთ ეპატივათ 2,000 მან. ჯარიმა, რომელიც უნდა მისცემოდა იმავე სოფელში მოკლულ ჟღენტის და თოდორაიას ოჯახობებს. (ჩ. ა.).

✦ **ქალაქის თავი.** ქალაქის თავი თ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი ორი უკანასკნელი დღეა უკეთ არის.

✦ **თოფები, რევოლვერები, პატრონები.** 8 ივნისს რევაზოვის ქუჩაზე (1 ნაწილში) გაჩხრიკეს დურგალი ზაქარია დათაშვილი. უპოვეს 17 ბერდანის თოფი, ერთი რევოლვერი, 400 პატრონი და იარაღების სხვა მოწყობილება. დათაშვილი დააპატიმრეს.

✦ **კათალიკოსის მიღების თაობაზე.** როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციამ ნება არ დართო ქალაქის თავის მოადგილეს ა. ი. ხატისოვს ოფიციალურად თათბირი ჰქონოდა საბჭოს სომეხთა ქათალიკოსის მიღების შესახებ. ქალაქის თავის მოადგილე ამ საკითხის გამო ნამესტნიკს წარუდგა გუშინ, 3 საათზე.

✦ **კონცერტები.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ქართველ მომღერლებს ივ. სარაჯიშვილს, კ. ევლახიშვილს და ოპერის კაპელმეისტერს ივ. ფალიაშვილს გადაუწყვეტიათ ამა ივნისის განმავლობაში გამართონ კონცერტები შემდეგ ქალაქებში: ქუთაისს, ფოთსა, ბათუმ, ყვირილსა და ალექსანდროპოლში. ამ დღეებში კიდეც მიემგზავრებიან იმერეთისაკენ. ბათუმში 12 ივნის, გაიმართება კონცერტი, ქუთაისში 14 და ფოთში 15 ივნისს.

✦ **თავად აზნაურთა მდივანი და დეპუტატები.** ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა მდივნად დიდი ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა ილ. ე. ზურაბიშვილი. დეპუტატებად: გ. ი. თუმანიშვილი, ალ. ყანჩელი, გ. ზ. ტერიაშვილი, გ. დ. ვეზირიშვილი, ა. ლ. მაღალაშვილი და დ. ე. ჩოლოყაშვილი.

✦ **ტფ. სათ.-აზნ. ბანკის ზედამხ. კომიტეტი.** უკანასკნელ არჩევნებზე განახლებულმა ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა თავის პირველს სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარედ, მომავალ სამი წლისათვის, აირჩია — გ. ნ. ყაზბეგი, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგად თავ. ს. რ. ვახვახიშვილი.

✦ **შუამდგომლობა.** დუშეთის მაზრის სამღვდელოებას შუამდგომლობა აღუძრავს, დუშეთის მაზრაში ორი ახალი სამღვდლო ნო დაარსდეს. ეხლა სამი სიბლაღოჩინოა. სამღვდელოების აზრით, ქსნის და არაგვის ხეობები უნდა გამოეყვნენ ეხლანდელ საბლაღოჩინოებს და იქ ცალკე საბლაღოჩინოები დაარსდეს.

✦ **მანთაშევის ქარხანაში** „ბატუმ. ნოვ.“ სიტყვით, 2 ივნისს მანთაშევის ქარხნიდან დაუთხოვიათ ყველა მუშები. მუშებს მისცეს 10 დღის ჯამაგირი, თუმცა საქარხნო წესდების ძალით მათ 12 დღისა ერგებოდათ. დაითხოვეს აგრეთვე კონტორის მოსამსახურენი და ნოქრები. ამ უკანასკნელს $1^1/_2$ თვის ჯამაგირი მისცეს. კონტორის მოსამსახურენი და ნოქრები სთანხმდებიან ამას და ითხოულობენ, რომ რამდენი წელიწადიც ვიმსახურეთ, იმდენი ნახევარი თვის ჯამაგირი მოგვეციოთ. არავინ იცის, რითი გათავდება ეს დავა.

✦ **ცოლ-ქმრის სიკვდილი.** 7 ივნისს, სალამოს 6 საათზე, ელისაბედის ქუჩაზე (№ 126) ჰლექით გარდაიცვალა სადგურ ბათუმის დეპოს უფროსი, ინჟენერ-ტეხნოლოგი ა. ნ. ქანანოვი (34 წლისა). ამას ისე უმოქმედნია ქანანოვის მეუღლეზე, რომ საწამლავი დაულევია. მათი გვამები მიხეილოვის საავადმყოფოში წაასვენეს (კ.)

✦ **უპასპორტოები.** 8 ივნისს ამაღლებისა და ორლოვის ქუჩაზე დააპატიმრეს 6 უპასპორტო კაცი. ამავე დღეს დააპატიმრეს პოლიციის მე-8 ნაწილში პორფირე პეტრიაშვილი ბრაუნინგის რევოლვერით, რომლის ტარების ნებაც არა ჰქონია.

✦ **ბანკის რწმუნებულნი თავად-აზნაურობის მხრივ.** ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა მხრით ტფ. თავად აზნაურო სადვილ-მამულო ბანკის რწმუნებულებად არჩეულ იქმნენ: გ. გ. მაღალაშვილი, ვ. ხ. გაბაშვილი, კ. სუმბათაშვილი, ნ. ივ. ორჯონიძე, ა. ი. ორჯონიძე, რ. გ. ბექთაბეგიშვილი, ი. ვ. მაღალაშვილი, ალ. მ. სუმბათაშვილი, ნ. ივ. საგინაშვილი, გ. ი. ყაურიშვილი, ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, გ. გ. ქართველიშვილი, გ. რ. კორინთელი, ვ. ი. თუმანიშვილი, გ. მ. მელიქიშვილი, ლ. ლ. მაღალაშვილი, სადიხ-ბეგ იედიგაროვი, კ. ზ. შანშიაშვილი, დ. ალ. ფავლენიშვილი, გ. ა. ბაგრატიონ დავითიშვილი, როს. თ. ამირეჯიბი, რ. დ. ამირეჯიბი, ნ. დ. ციციშვილი, რ. ი. ერისთავი, დ. ა. ფავლენიშვილი, ს. ვ. მაჩაბელი, ვ. დ. ფავლენიშვილი, ნ. ი. ციციშვილი, გ. გ. სუმბათაშვილი, ა. ალ. ამირეჯიბი, დ. კ. ციციშვილი, ზ. ნ. ფალავანდიშვილი, გ. დ. ვეზირიშვილი, კ. ნ. ვეზირიშვილი, დ. ს. ციციშვილი, გ. ედ. ბაგრატიონ-დავითიშვილი, დ. ი. ერისთავი, გ. ნ. ერისთავი, კ. ი. ამილახვარი, გ. მ. გურამიშვილი, ლ. ს. ბაგრატიონ დავითიშვილი, ა. გ. მირზაშვილი, კ. გ. ციციშვილი, რ. თარხნიშვილი, ე. ი. თარხან-მოურავიშვილი, ა. გ. ერისთავი, ი. ს. ამაცაშვილი, გ. გ. ფალავანდიშვილი, ნ. ტარსაიძე, დ. კ. ერისთავი, კ. ვ. კალიტოვიშვილი, მ. კ. ყიფიანი, გ. რ. ამირეჯიბი, ვ. გ. ციციშვილი, ლ. გ. გაბაშვილი, დ. ი. ჭავჭავაძე, გ. დ. ერისთავი, გ. ზ. ტერიაშვილი, გ. ბ. ი. რატიშვილი, კ. დ. ერისთავი, ლ. გ. წინამძღვარიშვილი, თ. ი. რატიშვილი, გ. ა. მუხრანსკი, ი. შ. ტერიაშვილი, ა. ა. ფავლენიშვილი, ი. გ. ყარანგოზიშვილი, შ. რ. ერისთავი, ი. ი. ყარანგოზიშვილი, მ. ზ. ჭავჭავაძე, ზ. რ. ჭავჭავაძე, ო. გ. ჭავჭავაძე, ვ. გ. ბარათაშვილი, ს. რ. ვახვახიშვილი, ალ. ზ. ჭავჭავაძე, მ. დ. ჭავჭავაძე, ნ. გ. ჭავჭავაძე, მ. რ. ჭავჭავაძე, ალ. ნ. ჭავჭავაძე, ი. ე. ზურაბიშვილი, ი. პ. მგალობლიშვილი, დ. ვ. სიდამონოვ-ერისთავი, დ. გ. ჯორჯაძე, ვ. ი. რცხილაძე, ვ. ნ. ავალიშვილი, ი. ი. ჯორჯაძე, ვ. ი. ჭავჭავაძე, ა. რ. ვახვახიშვილი, კ. ნ. აბხაზი, დ. ე. ჩოლოყაშვილი, მ. რ. ვაჩნაძე, ი. დ. აბხაზი, ი. ა. ჯანდიერი, ს. დ. ანდრონიკაშვილი, ი. კ. ვაჩნაძე, ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ალ. ლ. ჯორჯაძე, ლ. ა. ვაჩნაძე, ა. ა. აბხაზი, დ. კ. ჩოლოყაშვილი, ს. ს. ვაჩნაძე, ა. გ. მაყაშვილი, ბ. ბ. მაყაშვილი, ა. რ. ვახვახიშვილი.

✦ 8 ივნისს, დილის 7 საათზე, ვერაზე, სარტიჭალის ბაღში, მტკვრის პირად ნახეს გვამი სანიტარის კამანდის ჯარის კაცის ფეჩი კლიმენკოსა. როგორც ფიქრობენ, კლიმენკო კლდიდან უნდა გადმოვარდნილიყოს.

✦ 7 ივნისს, ღამის $11^1/_2$ საათზე, ამ ერთი კვირის წინად კადეტის კორპუსიდან გამორიცხული, პოლკოვნიკის შვილი, ლეონიდ მაჭუტაძე სასტუმრო „ვერსალში“ მისულა რევოლვერით. მაჭუტაძეს ხუთჯერ უსროლია რევოლვერი სასტუმროს ფოიეს პერში. მაჭუტაძეს რევოლვერი წაართვეს და პასუხის გებაში მისცეს.

✦ 8 ივნისს ვიღაც უცნობმა კაცმა დანით მუცელში დასჭრა სოლოლაკის ქუჩაზე მოქალაქე ნიკო დარიბოვი. ეჭვით დააპატიმრეს დავით გიორგობიანი.

✦ 8 ივნისს ავლაბარში დააპატიმრეს ქართლელები დიმიტრი და იოსებ ფაშვიშვილები, რომელთაც ორხევის სადგურთან მოეპარათ ერთი ცხენი და ერთი ხარი.

### ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება.

ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ საზოგადო შენიშვნებისა და სხვა და სხვა მოსაზრების გამოთქმის შემდეგ, 7 ივნისს დილით კრება შეუდგა ხარჯთ-აღრიცხვის დაწვრილებით განხილვას.

დიდი კამათი გამოიწვია მე 9 მუხლმა. პროექტით ქართულ გიმნაზიას უნდა მისცემოდა 48,000 მან. წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლას 5000 მან. 3000 მანეთი და სხვა.

**თავ. დ. გ. ჯორჯაძე:** მარმან კი საკუთრებულ კომისია იქმნა არჩეული და მან საჭიროდ სცნო ქართულ გიმნაზიისთვის ყოველ წლობით 50,000 მან. გადაიდოს. ეს ფული იმ შემთხვევისთვის არის ნავარაუდევი, თუ გიმნაზიაში პარალელური კლასები არ იქნება, მაგრამ ეხლა პარალელური კლასები არის და, მაშასადამე, გიმნაზიას უნდა მიეცეს გადიდებით მეტი. ჩემის აზრით, წელს უნდა გადაიდოს 60,000 მან. წინამძღვრიანთ კარის სკოლას 5,000 მანეთი უნდა მიეცეს, რაც შეეხება გორისა, თელავისა, ტფილისისა და სიღნაღის მთავრობის სასწავლებლებს — ამათ უარი უნდა ეთქვათ, რადგან ეს სასწავლებლები უზრუნველ ყოფილნი არიან ხაზინისაგანაო.

**ი. ს. ჯაბადარმა** კარგა ხანს ილაპარაკა და, სხვათა შორის, სთქვა: ხარჯთ-აღრიცხვაში ჩამოთვლილი დაწესებულებანი უნდა დავაკმაყოფილოთ. თუ ამისი შეძლება არა გვაქვს, მაშინ უპირატესობა უნდა მიეცეს ჩვენს კულტურულ დაწესებულებებს. ქართულ გიმნაზიას უსათუოდ მეტი უნდა მიეცეს, თუ. იგ ახსენებს დაჯგუფებას გიმნაზიის შენობის უნუგეშო მდგომარეობას. მართალია, ბევრი ფული წავიდა, მაგრამ გაზვიადება არ ვარგა. კარგი იმ დიდი შენობისა, სადაც თითქმის სამი გიმნაზია მოთავსდება, გვაქვს ხუთი ფლიგელი მაინც. ამ შენობამ ქართველობა მიიზიდა და ბევრნი დასახლდნენ გარეშე და სახელდობრ. ბ-ნი ჯაბადარის აზრით, გიმნაზიას უნდა მიეცეს 69,000 მან.

**ა. გ. ჯაბადარმაც** საჭიროდ სცნო გიმნაზიას მეტი ფული მისცემოდა.

**თავ. ი. აბხაზი** ამტკიცებდა, რომ გიმნაზიის შენობამ მილიონ მანეთზე მეტი ჩაყლაპა. მე სიამოვნებით მივეგებები ყველა იმ საშუალებას, რომელნიც შეკვარებინებს ძვირფას შენობას, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე მაგარ საფუძველზე არ არის. ქალთა კომიტეტს უსათუოდ უნდა მიეცეს 2400 მან., რომ პირველი გიმნაზიური კლასი არ დაიკეტოს და სამოსწავლო წლიდან მეორეც გაიხსნას.

**მთხ. ქ. ყიფიანმა** წინამძღვარიანთ-

# ქართველ ერის საცოდავი ნაშთები

(დასასრული *)

ერთი ფრიად საყურადღებო წერილი მივიღე ამას წინად სტამბოლიდან ჩემი მეგობრისაგან. აი ეს წერილიც. წაიკითხე, მკითხველო, გულ-დასმითა და სთქვი, მართლაც საცოდავი არ არის ნაშთები ჩვენის ეროვნებისა, ან რას უნდა განიცდიდეს მნახველი ამ ნაშთებისა, ცოცხალ, მგრძნობიარე ნაშთებისა, ან რას ვაკეთებთ ჩვენ ამ ნაშთებისათვის, — ჩვენ, დანარჩენი საქართველო, რომელსაც თავი, კიდევ სრულ სიცოცხლის მქონედ მიაჩნია!

აი წერილი. იქ ბევრი სხვა საყურადღებო რამაც არის:

**„ძვირფასო მეგობარო!**

მომიტევე, რომ ამოდენა ხანი გაგიჩუმდი. თუმცა შენი წერილები ყველა მომივიდა და ზოგი მაშინვე პასუხსა თხოულობდა, მაგრამ ისეთ საზიზღარ გუნებაზე ვიყავ, რომ კალმის აღება აღარ მეხერხებოდა. სულ ხვალისათვის ვდებდი ბარათსა და ასე დამიგვიანდა. მასალა კი ღვთის წინაშე ძალიან ბევრი იყო მოსაწერი; მაგრამ იმაში აქაურ ამბების მოწერა კი აღარა ღირს, რადგანაც მარტო გამეორება იქნება იმისა, რასაც ეგრე დაწვრილებით იცნობებიან ტელეგრამებით. მხოლოდ მოკლედ რომ გითხრა, საზოგადო მდგომარეობა ეს არის, რომ დღეს ბრძოლა პროვინციაშია გადატანილი. დღემდე იქიდან სულ ცუდი ხმები მოდის, მაგრამ ახალგაზრდა ოსმალნიც მარჯვედ იქცევიან. ამ ბოლო ხანებში ჯარი გაგზავნეს შავი ზღვისაკენ ბოსფორის მეციხოვნე ჯარის გამოსაცვლელად, მაგრამ ძველი მეციხოვნენი ნებით არ გამოდიან და იქნება შეტაკება მოუხდეთ. ჯარი ზღვისაც გაგზავნეს და ხმელეთისაც. სტამბოლში კი ჯერჯერობით სიწყნარეა, გარეგანი მაინც, და კონტრრევოლიუციის ლიკვიდაციას ახდენენ. სასტიკად უსწორდებიან რეაქციონერებს; გაგებული გექნებათ აქაურ ჩამოხრჩობის ახალი ყაიდა: აიჩემეს სადაც უფრო მეტი ხალხი დადის, ნამეტნავად ხიდზე, ჩამოჰკიდებენ კაცს პირ ახდილს და რამდენიმე საათობით, ხან ნახევარი დღით აყურებინებენ ხალხს. გუშინ და დღესაც ჩამოარჩეს სასახლის რამდენიმე ლალა. გამოძიებას ახდენენ და ვისაც კი მონაწილეობა უმტკიცდება აბდულ-ჰამიდის ოინში, აღარ ინდობენ. ძალიან მაგრა მოსცხეს მოლებსაც, მაინც კიდევ იმათი ეშინიანთ, რადგანაც ისინი საქმეში რჯულს ურევენ და ამ ქადაგებას თურმე დიდი გასავალი აქვს ხალხში. მოკლულ მოლებში ორი ქართველი ყოფილა, რომელნიც, სამწუხაროდ, რეაქციის მიმხრობილნი ყოფილან.

წინად შაქირ-ფაშა ერთგულიშვილზე გწერდი გაზეთში რომ ის ამბავი ამოვიკითხეთ, ჩვენი მეგობარი მ. იძახოდა, ვიცოდი, რეაქციონერი იყო, რათ ეროდა ის დალოცვილიო*).

ყოფილი საზღვაო მინისტრი რიზა-ფაშა ათაბეგიშვილი, წინათაც გატყობინებდი, დაჭრით გადარჩა. ახალი ეს არი, რომ, როგორც შევიტყვეთ, მუსულმან ქართველებისაგან იმისი გადარჩენა ქართველ სალდათების საქმე ყოფილა. პარლამენტში მისვლისას რომ შტიკიანი სალდათები შემოჰხვევიან, ამათ დაუნახავთ და უცვნიათ, დაუძახნიათ ამხანაგებისათვის, ეგ ჩვენი კაციაო, და ასე დაუხსნიათ, თორემ იქვე გაათავებდნენ. ეხლა მინისტრობიდან გამოსულია და ავადმყოფობს. ამ დღეებში უნახავს მ. — ს. გამხდარია ძლიერაო. საზოგადოდ აქაური ქართველობა თავს არ ირცხვენს რეაქციის ტრფიალით და თითქმის ყველა ახალგაზრდა ოსმალთა მომხრეა, ზოგი ხომ თავსაც არა ზოგავს. იმათში ერთი ელიშვილიც არის, ისმაილ ბეი, მართლა შეგნებული კაცი და ქართველ ეროვნების მომხრე. მთავარ კომიტეტში მსაჯულად ითვლება. იგიც აქედან გაქცეულ სალონიკის ჯარს მოჰყვა უკან; იმასაც კი თოფის დაჭერა სდომნოდა, მაგრამ ჯარს არ ეკადრებინა, თქვენ სხვანაირად გვჭირიხართო. მე სულ ეს ფიქრი მიტრიალებდა, — იმ მიზნით ხომ არ იბრძვის აქაური ქართველობა ასე თავგამოდებით ახალ ფორმისთვის, რა მიზეზითაც მანდაური ქართველობა იღებდა ისეთ ცხარე მონაწილეობას ჩვენს მოძრაობაში. მე ძლიერ გაკვირვებული დავრჩი, როდესაც პირველ შეკითხვაზედვე ასეთი ჰანგი მომესმა ლაპარაკისა. ლაპარაკში გამოდიოდა, რომ აქაური ქართველობა მაინცა და მაინც არა ჰყვარებიათ ოსმალებს. მთავრობას ხომ სძულებია და ძალიან უდევნია, — შინებია, თავიანთი კომიტეტი არ შეადგინონ ჩემს საწინააღმდეგოთაო. ქართველებიც ისე ყოფილან შეშინებულნი, რომ ერთი მეორესთან ველარ ჰბედავდა მისვლას. სხვა მაგალითები მითხრეს, რომ ქართული დალაპარაკება რო ვისმე მოსდომნია, იენიჯამში წასულა ჩუმად ქართველ კათოლიკებთან დასალაპარაკებლად. მაშასადამე, თავის დაცვის ინსტინქტმა გადაიყვანა ესენი ერთიანად ახალგაზრდა ოსმალთა ბანაკში. აქედან შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ის ჩვენთვის სანუგეშო დასკვნაც, რომ აქაური ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებენ რევოლიუციაში არა როგორც ცალკე პიროვნებანი, რომელიმე ნიჭიერი ისმაილი ან ოსმანი, არამედ როგორც ერთი მთლიანი გვაროვნობა ეროვნულ ტენდენციით. ამას ძალიან დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. იგინი ლაპარაკში თავიანთსა და ოსმალთა შორის ცხად გარჩევასა სდებენ და ქართველობისათვის ჯერ არ არიან დაკარგულნი.

აბა წარმოიდგინე ეს სურათი: სტამბოლის ქუჩებზე ახალგაზრდა ქართველი თოფით შეიარაღებული და მხარ-იღლივ სავსე პატრონტაშ გადაგდებული, რეაქციასთან საბრძოლველად გამოსული. ღირს განა აღსანიშნავად? გულის უბეში პატარა ყურანი ჩაედო, ჩვენთან პალტოს ჩიბეში გადასდო და სიცილით გვითხრა, შიშმა სარწმუნოება მომაგონაო. ვიცი შენი ამბავი, ამ სურათებზე ფიქრებს გაბავ და ოცნებებში გადახვალ. მართალია, მართალი!

ცარიელი სიტყვები რომ არ გეგონოს ჩემი მტკიცება აქაურ ქართველობის შერჩუნებაზე, აქვე გაგიზიარებ იმ კერძო მაგალითებს, რომლებსაც მე სრულებით შემთხვევით ვაწყდებოდი, მაგრამ ამით ფასი არ აკლდებათ და საზოგადო დასკვნაშიაც გამოგვადგებიან. შეიძლება ზოგი რამ უკვე მოგწერე და აქ გავიმეორო, მაგ-ამ არა უშავს რა. ამ შენიშვნებს ექნება დღიურის ხასიათი; ჩემის ზამამაცობით რიცხვებს არ ვინიშნავდი.

მანდედან რო წიგნები მოგვივიდა, მე და ჩვენი მეგობარი ა. წავედით ქაღალდების გამოსატანად გალატაში და გზაზე ლაპარაკით მივდიოდით; მე ხმა მაღლა გაცხარებული ვეუბნებოდი — დიახ, დიახ მეთქი. ამ დროს ორი თათრულად ჩაცმული დედაკაცი გვერდი-გვერდს დაგვიახლოვდა და ერთმა მათგანმა, ჩვენს გასაგონად, რასაკვირველია, ჩადრის ქვეშიდან გამოგვძახა — დიახ, დიახ ბატონოვო, და გაიარეს. აბა, ხომ იცი, ჩემი ამბავი, მე გული ამიმოძრავდა, და შევდეგი, შედგა ა — ც — ეგენი ქართველები არიანო. მოდი, გავყვეთ უკან, გამოველაპარაკოთ მეთქი, მაგრამ აკრძალული რომ არის აქ ასეთი საქციელი, არ იკისრა. მე გავჯავრდი და პირველად დავწყევლე ასეთი ჩვეულება, რომ, ვინ იცის, იმათაც როგორ უნდოდათ ჩვენგან ქართულ სიტყვის გაგება, მაგრამ ნება კი არა გვქონდა, რომ აგვესრულებინა გულის წადილი და ამ უცხო ქვეყანაში ერთმანეთისათვის სამშობლო ენაზე გაგვეცა ხმა, ერთმანეთის პირი და ლხინი მოგვესმინა. დიდ ხანს მიღელავდა გული ამნაირ შეხვედრითა.

რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე საქმეზე მივდიოდით მე და ჩვენი ნაცნობი ვ. წვიმა იყო და ტრამვაიში ჩავსხედით. მე და ვ. ვლაპარაკობდით ჩვენს აქაურ საქმეებზე. ერთი ახალგაზრდა ბიჭი წითელ ფესკიანი დიდხანს გვიყურებდა, მაგრამ ჩვენ იმის სახის ფერის ცვლილებას ყურადღებას არ ვაქცევდით; ბოლოს ველარ მოითმინა საწყალმა და კილო შეცვლილ ქართულით გვკითხა, თქვენ ქართველები ხართო? როცა ჩვენც ვინაობა გამოვკითხეთ, იმან თავის გვარი დაასახელა — გოლომანიძე, აჭარიდანო. ჯერ კი დარწმუნებით ვერ გეტყვი და მე კი ჩემად შემჩნეული მაქვს, რომ აქაური ქართველი თავის სადაურობას იმით კი არ გიჩვენებს, სადაც არის დასახლებული, არამედ იმით საიდანაც არის გადმოსახლებული. შეხედულობით მდაბიო ბიჭი იყო, უბრალო მოსამსახურე ჩნდა, ესეც გუნებაში მისაღებია.

წიგნების გამოსატანად სამნი წავედით ერთად დამოჟნაში, გალმა სტამბოლში. ყუთი იქვე გავხსენით და ჩვეულებისამებრ რამდენიმე წიგნი წარუდგინა ა — მ დაწესებულებას იმის შესამოწმებლად, თუ რა მიგვაქვს და რამდენი უნდა დაედოს ბაჟი. მანამ ისინი საქმეს გაგვითავებდნენ, სხვები წიგნებზე გვკითხავდნენ და როცა გაიგეს, ქართულია, იქვე ერთ კაცზე მიგვითითეს, ეგ ქართველიაო. ამ ლაპარაკზე მოტრიალდა ჩვენკენ მაღალ-მაღალი ქალარა კაცი. ჩვენ ვკითხეთ, ქართველი ხარ? დიახ ბატონოო. ა — მ გადაუშალა წიგნი და მიაწოდა, ეს ქართულიაო. იმანაც აიღო, კარგა ხანს დასცქეროდა და საცოდავად იღრიჭებოდა. რასა გრძნობდა ნეტა, გული რას ეუბნებოდა, რა სულის მოძრაობას განიცდიდა?

ვ — ს უნდოდა ვაჰრობა რამ დაეწყო აქაურ ქრისტიან და მუსულმან ქართველებთან ერთად. ქრისტიანი ქართველები უკვე დაითანხმა და აღდგომის წინა დღეებში მუსულმანებიც მოიწვია; კრებაზე კერძო თათბირი უნდა ყოფილიყო და ამი-

*) იხ. „დროება“, N 125.

*) შაქირ-ფაშაზე ამბობენ — თავი მოიკლაო, მაგრამ თავი კი არ მოუკლავს და რეაქციის გარევისათვის კი, მგონი, იხჩება. B.

კარის სკოლის სასარგებლოდ ილაპარაკა. უსათუოდ მეტი ფული უნდა მიეცეს ამ ერთად-ერთ სამეურნეო სასწავლებელსაო. თუ ჩვენს მიწის მუშას სამეურნეო ცოდნა არ ექნება, იგი მალე დაჰკარგავს თავის ქვეყანას და ბოგანოდ იქცევა.

**ს. ხუნდაძე.** მე რუსული ვიცი, მაგრამ ჩემს დედა-ენაზე უკეთ გამოვთქვამ აზრს და ამიტომ ქართულად მოგახსენებთ. ორი რამ არის საჭირო, რომ ჩვენი ტერიტორია და ტურფა ქვეყანა შევინარჩუნოთ და უცხო ელემენტს არ დავანებოთ: პირველი ის არის, რომ ფეხქვეშ მიწა გვქონდეს, მეორე—გვქონდეს ჭკუა და ცოდნა, რომ მიწის დამუშავება და პატრონობა შეგვეძლოს. ქველ ხელთ ნაწერებისა და სიგელ-გუჯრების შესწავლას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს საბუთები უფლებას ვერ აღგვიდგენენ, თუ ჩვენს ეხლანდელ უფლებას ხელიდან გავუშვებთ და ტერიტორიას გავყიდით, ისე როგორც ჩვენი მემამულენი სჩადიან. მამულის გაყიდვა სწორედ იქიდან მომდინარეობს, რომ ჭკუა და წინ-დახედულება გვაკლია, არც სამეურნეო ცოდნა გვაქვს, რომ ფასი ვიცოდეთ ადგილისა. მე რომ სა[illegible] დამითხოვდნ, კარგად ვიცხოვრებ, რადგან მიწას დავიმუშავებ, [illegible] ამას ვერ შესძლებს და ეს არის მიზეზი ჩვენი მიწების დაკარგვისა. რომელ ქალაქებს შეუძლიათ, მაგალითად, დაუბრუნონ უფლება გორის მაზრის უოფილ მემამულეს აბელ კადატოზიშვილს, რომელმაც ძვირფასი მამული საგლეხო ბანკს გადასცა და ვინ იცის საიდან არ მოჰყავთ აქ დასასახლებლად ხალხი, მაშინ როცა ჩვენი გლეხობა საშინელს სიღარიბე-შევიწროებას განიცდის უმიწა-წყლობით. ამიტომ საჭიროა წინამძღვრიანთ-კარის სკოლას პატივი დავსდვათ და მეტი ფული მივცეთ, რომ გაიზარდოს სკოლის მოქმედება სამეურნეო ცოდნის ხალხში შესატანად, საჭიროა სხვა ამგვარ სამეურნეო სკოლების დაარსება.

თ. ნასიძე მიემხრო ი. ს. ჯაბადარს, რომ გიმნაზიის შესანახად 60,000 მან. უნდა გადაიდოსო. თავ. დ. ფავლენიშვილმა სთქვა, მთავრობის გიმნაზიებ 48,000 მან. ჯდება და ჩვენც ამდენი უნდა გადავდოთო. ვ. მაჩაბელმა და სხვებმაც მოითხოვეს მეტი ფულის გადადება გიმნაზიისთვის.

**ილია წინამძღვარიშვილი** ამტკიცებდა უპირატესობას სამეურნეო ცოდნისა. ყოველ მაზრაში თითო სამეურნეო სასწავლებელი მაინც უნდა დაარსდეს, თუ გვინდა, რომ ხალხი ფეხზე დადგეს. ბანკს აქვს ერთი წყარო—სამეურნეო თანხა, ეს ფული სასოფლო-სამეურნეო სწავლა განათლებაზე უნდა დაიხარჯოს. ხალხი მეტს სიდატაკეს უნდა მოელოდეს, თუ სამეურნეო ცოდნის საქმეს დღევანდელ მდგომარეობაში დავტოვებთ. მე ვთხოულობ 30 წლის ნაამაგარი არ გამიფუჭოთ დაუხმარებლობით. აქამდე 5000 მანეთს მაძლევდა თავად-აზნაურობა და ეს ფულიც ძლივსა ჰყოფნის სკოლას. გთხოვთ გააუქმოთ კრების მიერ განაჩენი, რომლითაც ამ სამეურნეო სასწავლებელს სიკვდილი მოელის,

კამათი [illegible] თავდებოდა.

გორის მარშალმა თავ. ნ. ა. თუმანიშვილმა მოითხოვა უსათუოდ გადაიდოს ფული გორის, თელავისა და ტფილისის სასწავლებლებისათვის.

**გ. მაღალაშვილი.** მე დიდი წინააღმდეგი ვარ იმ სასწავლებლებისა, სადაც ქართული ენის სწავლება სასურველად არ არის დაყენებული. ჩვენში სასწავლებლები ამახინჯებენ მოზარდ თაობას. მათ არც რუსული იციან კარგად, ქართულს ხომ სულ არ სწავლიან. ერთი კაპიკიც არ უნდა მივცეთ იმ სკოლებს, სადაც სწავლა-აღზრდის საქმე რუსიფიკატორულ ნიადაგზეა (ძლიერი ტაში).

ნ. თუმანიშვილი, ალ. ჯორჯაძე, მაქ. ჭავჭავაძე ამტკიცებდნენ, რომ თელავსა, სიღნაღსა და გორში ქართული ენის სწავლება კარგად არის დაყენებულიო.

**თავ. დ. გ. ჯორჯაძე**, როგორ შეიძლება, პროვინციაში ქართული ენის სწავლება კარგად იყოს დაყენებული, როცა ტფილისში არც ერთ სასწავლებელში შესაფერისად არ ასწავლიან ამ ენას!

**თავ. გ. ნ. დიასამიძემ** ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. დაწვრილებით აღნიშნა სწავლა-აღზრდის საქმეში გამაუკუღმართებელი სისტემა და მოითხოვა, არც ერთი გროში არ მიეცეს მთავრობის სასწავლებლებს. ეს სასწავლებლები სახრჩობელას გვიმზადებენ, აქ კი გამოდიან დამცველები და ფულსაც აძლევენ. ჩვენ სულ უნდა შევცვალოთ მიმართულება სწავლა-აღზრდის საქმეში. ის 20,000 მანეთი, რომელიც სტიპენდიებზე იხარჯება, დაკარგულად მიმაჩნია, რადგან უმაღლეს სკოლებში კურს შესრულებულნი სრულიად მოწყდებიან ჩვენს ქვეყანასა და ხალხს და [illegible] ბედნიერების ძებნით გატაცებულნი შორეულ ადგილებში მიდიან ჯამაგირიან ადგილების ხელში ჩასაგდებად. სასტიპენდიოდ გადადებული ფული წერა-კითხვის საზოგადოებას უნდა გადავცეთ, რომ მან სიბნელით მოცულ სოფლებში სკოლები დაარსოს და განათლება შეიტანოს. მხოლოდ ამით შეიძლება ქართველ ერის განახლება. სხვა ერების მაგალითიც ამას გვასწავლის. აიღეთ თუნდა ჩეხები და სხვა პატარა ერები, თუ ქართველები ვართ, ვიყოთ ქართველები!

**თავ. ალ. დიასამიძე** მიემხრო გრ. დიასამიძის აზრს და სთქვა, ჩვენ ფული მხოლოდ იმ სკოლებსა დაწესებულებას უნდა მივცეთ, რომელთაც ჩვენვე განვაგებთ. ჩვენ ხელი არ უნდა შევუწყოთ ჩვენ გამაუკუღმართებელ სწავლის სისტემას გაძლიერებას.

დიასამიძეებს და მათ მოაზრეებს წინ აღუდგა მ. მაჩაბელი, თავ. მ. ჭავჭავაძე, თავ. ნ. თუმანიშვილი და სხვ. ესენი საჭიროდ სცნობდნენ წასულ წლების მიხედვით შემწეობა მისცემოდათ მთავრობის აღნიშნულ სასწავლებლებს. თავ. პ. ი. თუმანიშვილმა წინადადება შეიტანა არჩეულ იქნას კომისია, რომელმაც უნდა შეისწავლოს ქართულ გიმნაზიის შენობის მდგომარეობა და გამონახოს საჭირო საშუალება. თავ. პ. თუმანიშვილის აზრით გიმნაზიას უნდა მიეცეს 60,000 მანეთი, წინამძღვარიანთ სკოლას—5000 მან. და სხვა მუხლებიც მე-10 მუხლამდე უცვლელად უნდა დარჩესო.

ბოლოს კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა მიეცეს: 60,000 მანეთი ქართულ გიმნაზიას, 5000 მან. წინამძღვარიანთ სკოლას, 18,000 მან. გადაიდოს სტიპენდიებისათვის, 2000 მან. ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად საშუალო სასწავლებლებში. დასასრულ ისიც დაადგინა, რომ ას-ასი თუმანი მიეცეს ტფილისისა და თელავის წმ. ნინოს სასწავლებლებს, სიღნაღის მარიამის ქალთა სკოლას, გორის ანასტასიის სასწავლებელს, ხოლო გორის ვაჟთა გიმნაზიას—1500 მანეთი.

7 ივნისს დილის სხდომა გაგრძელდა ნაშუადღევის 5 საათამდე. საღამოს რვა საათზე კვლავ განახლდა სხდომა. მ. ვ. მაჩაბელმა მოითხოვა, წ.-კ. საზოგადოებას მისცემოდა 3 ათასი მან., მხოლოდ სახლი დაეცალაო.

**ნ. გ. ყაზბეგი.** ხარჯთ-აღრიცხვით წ.-კ. საზოგადოების მაღაზიის ბინის დასაქირავებლად გადადებულია 500 მან. ეს ფული საკმაო არ არის. ვთხოვ პატივცემულ კრებას, ან დაგვითმოს უფასოდ ის სადგომი, სადაც ეხლა გვაქვს წიგნის მაღაზია და ან 1000 მან. გადასდოს, რომ რიგიანი ბინა ვიშოვნოთ მაღაზიისათვის. რაც შეეხება მუზეუმის შესანახად 2,000 მან. გადადებას, ესეც აუცილებლად საჭიროა, რომ შევძლოთ დროებით მაინც შესაფერი ბინა გაუჩინოთ მუზეუმს. უადგილობისა გამო ის საისტორიო და ჩვენის ქვეყნის შესასწავლად ძვირფასი მასალა, რომლითაც იამაყებდა ყოველი განათლებული ერი, დღეს მიყრილ-მოყრილია უსისტემოდ; ჩვენ თვითონ არ ვიცით, რა გვაქვს და რა არა. ამიტომ გადავწყვიტეთ, დროებით განსვენებული ილია ჭავჭავაძის მიერ ნაანდერძევ სახლში გადავიტანოთ მუზეუმი და ბიბლიოთეკა. რადგანაც ამ ძვირფას განძთა მომვლელი სპეციალისტი უნდა იყოს, ამიტომ ვითხოვთ 2,000 მან., რომ მუზეუმ-ბიბლიოთეკას კარგად უპატრონოთ, ვიდრე შეძლება გვექნება ნაციონალურ მუზეუმ-ბიბლიოთეკისთვის საკუთარ შენობის აგებისა.

კრებამ ერთხმად მიიღო წინადადება—მიეცეს წერა-კითხვის საზოგადოებას 3000 მან.

თავ. ანდრონიკაშვილმა სთხოვა კრებას ირაკლი მეფის თოფი დეპუტატთა საკრებულომ გადასცეს მუზეუმს. კრებამ მიიღო ეს წინადადება. თავ. ანდრონიკაშვილმა ითხოვა ისიც, რომ საქართველოს დროშაც მუზეუმს გადასცემოდა, მაგრამ კრებამ დროშა და ბარიათინსკის სურათი ძველს ბინაზე დასტოვა. აკაკის სახელობის სალიტერატურო ფონდს მიეცა 1000 მან., ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას—1000 მანეთი; ბ-ნ მედვედევის კოლექციის შესახებ დაადგინეს, დეპუტატთა საკრებულომ 2000 მან. შეიძინოს ეს კოლექცია და საჩუქრად გადასცეს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას. ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ გადაიდო 200 მან., ქალთა პრა-კურვის სკოლისა—100 მან., ქართულ სიმღერების გამოსაცემად ზ. ფალიაშვილს—200 მან., დეპუტატთა საკრებულოს შტატის ჯამაგირებისათვის გადაიდო 8000 მან. და სხვ. დანარჩენი ნაწილი ხარჯთ-აღრიცხვის კრებამ უცვლელად მიიღო. უარი ეთქვა თამარაშვილს (ქართულ საეკლესიო ისტორიის გამოსაცემად ფული ითხოვა). განათლების საზოგადოებას მიეცა 500 მან., ფილარმონიულ საზოგადოებას აპატია ვალი—750 მ., უარი ეთქვა საგარეჯოს სკოლას, კერძო პირებს. სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებასაც უარი ეთქვა. ზოგმა, განსაკუთრებით იმათ, რომელნიც არც-კი კითხულობენ ქართულ პრესსას და არ იცნობენ ქართულ მწერლობას, ავად მოიხსენიეს ეს მწერლობა. ჩვენ ეხლა არა გვყავანო არც ლიტერატორები, არც პუბლიცისტები, არც არტისტები; არა გვაქვს არც ჟურნალ-გაზეთობაო. სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებას უარი ეთქვას. ჯერ ვნახოთ რას წარმოადგენს იგიო.

მ. მაჩაბელმა ისიც დაუმატა, რომ ყოველმა ნიჭმა თვით უნდა გაიკვლიოს გზა, თვით უნდა შეჰქმნას მდგომარეობა თავის მოსალოდნიერებლად და საზოგადოების საკეთილდღეოდ, თორემ უნიჭოებს რაც გინდა ბევრი ფული ჩააყაროთ არა გამოვა-რაო. ქართული თეატრი, მაგალ., სამწუხარო მდგომარეობაშია: 30 წლის განმავლობაში დრამატიულმა საზოგადოებამ არა იღონა რა თეატრის გასაუმჯობესელად: თუ ნიჭიერი და დახელოვნებული არტისტები გყავანან, ისინი თვით გაიჩენენ პატივის მცემლებსაო.

სხვებმა მოაგონეს ორატორს, რომ ნიჭიც ჰქრება, თუ ხელს არავინ უწყობს. ნივთიერად როგორც თეატრს, ისე ხელოვნების სხვა დარგებს თვით სახელმწიფო ეხმარებაო.

დრამატიულ საზოგადოების გამგეობას უთხოვნია საკრებულოსათვის კვირაში ორი დღე უსასყიდლოდ ქართულ თეატრში წარმოდგენებისათვის; ამ საკითხის განხილვის დროს ორატორებმა გაიმეორეს ის, რაც სიტყვა-კაზმულ საზოგადოების შუამდგომლობის განხილვის დროს ითქვა. დასასრულ, კრებამ მიიღო საკრებულოს დადგენილება, რომ კვირაში უსასყიდლოდ ქართულ დრამატიულ [illegible] დღე (ხუთშაბათობით) მიეცეს. ამის გამო ზოგმა [illegible] ეგეთ „მზრუნველობას" იჩენთ ქართულ სათეატრო ხელოვნების აღორძინების საქმეში, თეატრს ქართულს ნუღა ეძახითო. პასუხად რამდენიმე თავადმა წ. მოიძახა—თეატრი თავად-აზნაურობისაა და არა ქართველთაო.

სრულ აღრიცხვით ხარჯი ნავარაუდევია 204,000 მანეთი. რადგან თავად-აზნაურობას საკმაო ფული არა აქვს ამ ხარჯის დასაფარავად, გადაწყვეტილია ისესხონ 135,000 მან.

კრება დასრულდა ორშაბათს, 8 ივნისს. ამ დღეს მოხდა არჩევნები; გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად აირჩიეს ისევ თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილი (125 თეთრი და 50 შავი), ტფილისის მაზრის წინამძღოლად—თავ. პ. ი. თუმანიშვილი, გორისა—თავ. ნ. ა. თუმანიშვილი, თელავისა—თავ. მ. ზ. ჭავჭავაძე, სიღნაღისა—თავ. მ. ა. ანდრონიკაშვილი. დუშეთისა—თავ. დ. ა. გურამიშვილი და ბორჩალოსი—ა. ი. იედიგაროვი. ამ დღესვე აირჩიეს თავად-აზნაურთა რწმუნებულნი ბანკში.

## სპარსეთის ამბები

**„წმინდა ომი".**

ქალ. კაზვინში რამდენიმე მქადაგებელი მოვიდა წმიდა ქალ. ქერბალადან. ესენი სიტყვებს წარმოსთქვამენ კრებებსა და მეჩითებში და ხალხს აღელვებენ ინგლის-რუსეთის წინააღმდეგ, მეტადრე რუსეთის წინააღმდეგ. მქადაგებლები ოსმალეთის დახმარებას ჰპირდებიან ხალხსა და წმიდა ომს ქადაგებენ რუსების წინააღმდეგ.

**პირველ მეჯლისის ქონება.**

რევოლიუციონერებმა სოფ. ხორამბადში შემთხვევით იპოვეს პირველ მეჯლისის დაკარგული ქონება, რომელიც რამდენსამე ფურგუნზე დაუდეს და ქალ. კაზვინში მიიტანეს. ეს ქონება ერთს მდიდარ მემამულე ბეგს მოეტაცნა. მტაცებელი ბეგი დაიმალა.

**რუსები თავრიზში.**

„რ. სლოვო"-ს კორესპონდენტი დაწვრილებით აწერს რუსების მო-

---

ტომ ხუთის მეტი არ მოსულა: ორი იზმითელი სუფთად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი და სამიც აქ მყოფი: ორი სამსახურის კაცი და ერთიც ზემო ნახსენები ისმაილ ბეგ ელიაშვილი. ქართული სიტყვა-პასუხი უკლებლივ ესმით, ვერ იგებენ მხოლოდ მძიმე ქართულით ნაწერს, უძნელდებათ. ერთად ვაჭრობის დაწყობაზე თანაგრძნობას აცხადებდნენ,—ამას ჩვენც ვფიქრობდით და კაი საქმე იქნება, სისხლი ერთი გვაქვსო. ილაპარაკეს, ვინ შემოვიდოდა წევრებად: კონტრიძე, შანიძე, ზოიძე, ამნაირი გვარები ისმოდა სახელების ჩამოთვლაში. მე მცირე ხანს დამავიწყდა, რომ უცხო გადაკარგულ ქვეყანაში ვზივარ. ელიშვილი კაი საქმიანი და ქართველების მომხრე კაცი სჩანს. დიდ დახმარებას გვპირდებოდა, მაგრამ არ გაუვლია სულ ერთ კვირას, რომ ოსმალეთის ამბები დაიწყო და ისიც მოუცლელობისა გამო პირადათ აღარ გვინახავს.

14 აპრილს ახალ სულთნის პირველ სელამლიკზე მეც გავიარე აიასოფიისკენ. დაბრუნებისას ი. დამხვდა და დამიწყო ლაპარაკი. ერთმა დედაკაცმა პირბადე ახსნილმა (ამ დღეს ბევრმა აიხადა პირს) დაგვიწყო ყურება და ილიმებოდა. მშვენიერი სახისა იყო, ქართლ-კახეთში თავადიშვილის ოჯახში მინახავს იმისთანა ტიპის ქალი. მანამ ით ნაბიჯს გადასდგავდა, სულ ჩვენკენ იყურებოდა, ძლიერ მინდოდა ქართულად გამოლაპარაკება, ალბად ისიც ამ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ან მე როგორ გავბედავდი ან ის; თათრული მაინც ვიცოდე ეს ოხერი! ერთი გამარჯვება კი დავუძახე ქართულად, მიიბრუნა პირი და თავჩაღუნული წავიდა. დავიჯერო არ იტანჯებოდა ის ადამიანი? განა მოვეწონე და იმიტომ მიყურებდა, ჩვენგან დედა-ენა ესმა და ამან გადააბა იმის გული ჩვენ გულთან, მერე ისიც გაიგო, რომ ჩვენ აქაურები არ ვიყავით და მოსულები ვართ მანდიდან. ვინ იცის, იქნებ უნდოდა ჩვენიდან აელო წარმოდგენა იმავის [illegible] ხალხზე, თავის სამშობლოზე, რომელსაც ისის ბედმა მოსწყვიტა და მოაშორა? მეც ძლიერ დავიტანჯე და თან გაკვირვებული ვფიქრობდი, ბიჭო, თუ, ყოველ ჩვენს შემთხვევით ლაპარაკებაზე ჩვენი სიტყვა მუდამ ქართულ ყურს ესმის, მაშ სჩანს, იმათი რიცხვი აქ ათასობით უნდა ვიანგარიშოთ, თორემ ასობით რომ იყოს, ამდენა ქალაქში სრულებით არ გამოჩნდებოდა. აღარ დამავიწყდება იმ ქალის სახე. მეტად ლამაზი იყო და პლატონიურად შამიყვარდა; ვითარცა ერთი ხელ უხლები სიწმინდე რამე.

კონტრრევოლიუცია რომ დაიწყო, მეორე დღეს დილით ვ.-სთან შემოვიდა ხარბიეს ქართველი მოსწავლე კადეტი ნიჟარაძე, რომელიც კვლავაც მიხსენებია. ძლიერ შეშინებული იყო; გვითხრა, წუხელ თოფიანი ჯარი შემოგვიცვივდა და მოლას რომ არ შეეყენებინა, ამოგვწყვეტდნენო. ჩვენ ვიგრძენით, რომ საქმე ცუდათ იყო. ვ.—მაც უთხრა და მერე მეც დავიმარტოხელავე და ვთხოვე, თუ საჭირო იქნებოდა, არ დაგვრიდებოდა, გინდა ჩვენთან მოდი და გინდა სხვა ტანისამოსს გიშოვნით-მეთქი. იმან მითხრა, ნათესავები მყვანან და იმათას წავალ, სხვა ტანისამოსს-კი არ ჩავიცვამ: აქ ბევრი მიცნობს და არ მინდა, ჩემზე ვათქმევინო, რომ შეშინდა, საქართველოს არ შევარცხვენო. ეს სიტყვები ისეთ კილოზე სთქვა, რომ, ძმობას გეფიცები, შენ რომ იქ ყოფილიყავი, გადაეხვეოდი და აკოცებდი ამ ქართველს. თვალით არ უნახავს და საქართველო ახსოვს. ოღონდ იგი ნუ შერცხვება და თითონ თუნდა მოკვდეს.

ამ ერთი კვირის წინად დიდი დღეობა ჰქონდათ აქაურ ქართველ კათოლიკებს, ფერიქოიში—ტაძრის დღეობა იყო. ხალხი დიდძალი იყო და მთავრობას, როგორც ჩვეულებაა ამისთანა შემთხვევაში, პოლიცია მოეგზავნა წესიერებისთვის. მონასტრის ერთმა ძმათაგანმა მითხრა, იმათში ქართველიც ურევიაო და გამაცნო ერთი ჩასხმული შუახნის კაცი. ქართველი ხარო?—მკითხა. ქართველი ვარ-მეთქი. ძალიან გაუხარდა ჩემი ნახვა. ქართველი კაცის ნახვა ძალიან გამეხარდება ხოლმე, სისხლი ერთი გვაქვსო. მე თითონაც აჭარიდან ვარო, ქედელი, რაშიდ-ეფენდი მამინიძე. ბიძაშვილები დღესაც აჭარაში ჰყოლია და თითონ კი პატარა წამოსულა (ალბად ბათუმის აღების შემდეგ). შვიდ-რვა წელიწადი ისეთ ადგილს ვმსახურობდი რომ ქართველი არ მენახა და ძალიან მომეწყინა, რომ ქართული არ მესმოდაო. ბოლოს შამხვდა ერთი ქართველი, ძალიან გამეხარდა, ორი წელიწადი ერთად დავრჩით, მაგრამ ქართულს კარგა ვერ ლაპარაკობდა, ზემოური იყო, ზემოურები კარგა ვერ ლაპარაკობენ ქართულსაო. გესმის, უბრალო პოლიციელი რომ განსჯაში შედის და არჩევს კარგსა და უხეირო ქართულსა? ამასთან მკვეთრად არჩევს სარწმუნოებასა და ეროვნებას, ანუ სარწმუნოებასა და სისხლს დაგვარს, როგორც იგი ამბობდა. ქართულ ენის დაუვიწყებლობაზე რომ ჩამოუგდე ლაპარაკი, იმან მითხრა, ჩვენს ოჯახში სხვა ენა არაა, ქართულს ვლაპარაკობთო, ჩვენი ბავშვი თათრულს ვერ შეისწავლის, თუ ქართული არ იცისო, დედა-კაცებმა სულ არ იციან თათრულიო. მაშინ კი, სწორე გითხრა, დავემადლიერე თათრულ კარჩაკეტილობას: ალბად ამან შეინახა ქართული ენა აქაურ ქართველ ოჯახებში. საღამომდე ფერიქოიში დავრჩით. წამოსვლა რომ დავაპირეთ, რაშიდ-ეფენდის დავუწყეთ ძებნა მე და იმ მონასტრის ძმათაგანმა, მინდოდა ვ.—სთვის გამეცნობებინა და ბიბლიოთეკაც მეჩვენებინა, მაგრამ ველარ ვიპოვე. სიარულში წინ შეგვხდნენ მისი ამხანაგი პოლიციელები და მე ჩემ ამხანაგს ვუთხარი ქართულად, აბა მაგათ ჰკითხე, მაგათ ეცოდინებათ-მეთქი. იგიც მივიდა და თათრულად დაუწყო ლაპარაკი, იმან ქართულად უპასუხა, მეც იმას ვეძებო. აღარ მოვძებნე ჩემი რაშიდ-ეფენდი, ამასთან მიველ. ჩვეულებრივის სალამის შემდეგ ვინაობის შეკითხვაზე მიპასუხა, მე ვარ მარადიდელი შაქირ-ეფენდი კიკნაძეო. მარადიდი საქართველოშია და თითონ კი აქ, იზმითში ჰყოლია სახლობა და დედმამა მეორ-მესამე დღეს შემხვდა ქუჩაზე; დავდეგით, ვილაპარაკეთ, ხელს ხელიდან არ უშვებდა, მკითხა, თქვენთან მონასტერში რომ ყმაწვილი კაცი ვნახე რა ჰქვიანო, მან მითხრა, კიკნაძეები აქ სხვებიც არიანო და მინდა ვიკითხო, სად არიან, დომ წავიდე და ვნახო.

აი, მეგობარო, ის შთაბეჭდილებანი და მაგალითნი, რომელთაც მე არ ვეძებდი და შემთხვევით ვაწყდებოდი. რომ სპეციალურ კვლევას შევუდგეთ, მაშინ რაღა იქნება? მე ისე გადმოგეცი შე მოხვევანი, როგორც მოხდა, და შენ როგორიც გინდა, ისეთი დასკვნა მიეცი და გაჰყევი ფიქრებსა.

ბ-ნმა მ—მ „დედა-ენაზე" მითხრა, იქიდან გამოგზავნილებს ვერ წაიკითხავენ ჯერაო და ჩვენ უნდა შევადგინოთ ქართულ-თათრულიო. მე კი ვგონებ, რომ მ. სცდება. იმისი სიტყვები მართალია იმ ქართველებზე, რომელნიც ასსიმილიაციის დასდგომიან ან უკვე გადაგვარებულან და ქართულს მართლა მარტო თათრულით შეისწავლიან. მაგრამ რა საქმე აქვს ამნაირ სახელმძღვანელოს იმ ქართველ ოჯახებში, სადაც ბავშვს სკოლის ჰასაკამდე არ ესმის თათრული და სამშობლო ენის და მცველნი ქართველი დედები სულ არ ლაპარაკობენ ამ ენას. ამიტომ უმჯობესი იქნება ისევ ქართული დედა-ენები დარიგდეს.

P. S. ეს წერილი ხათავებული მქონდა, რომ ერთი მუსულმანი ქართველი მოვიდა, შეგირდი, ქართული ანბანი მინდაო. „დედა-ენა" მივეცი სხვებსაც უნდათო სწავლება. სწავლებას ჩვენ დავპირდით და წიგნები აღარა გვაქვს, საჭიროა უფრო „დედა ენის" პირველი ნაწილი, თუ მოახერხოთ გამოგვიგზავნეთ რამდენიმე ათეული, სოფელშიაც გავიტანთ".

—

და მართლაც, ჩემის მეგობრის თქმისა არ იყოს, რაებს ვნახავთ, რომ კარგად გამოვიკვლიოთ ყველა ჩვენი დაქსაქსულ მოძმის ადგილი, ცხოვრება, მდგომარეობა! რამდენი რამ საყურადღებო იქნება რამდენ სხვა და სხვა გვარ მდგომარეობას განიცდიან ალბად ეს ერთ დროს ძლიერ ერის მოჭრილი შტონი,—ზოგი უკვე გამხმარი, ზოგი ნახევრად გახარებული უცხო ნიადაგზე, ზოგი მსურველი სამშობლო მიწაზე გადმონერგვისა, ან მწყურვალე სამშობლო განმაცხოველებელ წვენის შესმისა და სიცოცხლის ახალ ნაკადულით მორწყვისა!..

როგორ უყურებს მერე ჩვენი საზოგადოება ამას? ეჰ! რამდენჯერ უნდა განვიმეოროთ თავის შესაწყენი რამეები! ათასჯერ და ათიათასჯერ. მაგრამ როგორ არ უნდა განვიმეოროთ, როდესაც ეს პრობლემა მთელის თავისის აუცილებლობით სდგას ქართველი ერის წინაშე და გადაწყვეტას თხოულობს. ავადმყოფს წამალი და ექიმობა უნდა, სანამ არ მოკვდება, ან არ მორჩება. პრობლემას გადაწყვეტის ცდა უნდა, სანამ არ მოისპობა, ან არ გადასწყდება. მანამდის კი განმეორება ყოველთვის საჭიროა და აუცილებელი, ბევრ მძინარასაც რომ მოსწყინდეს ერთისა და იმავეს მოსმენა,—nien déplaise!..

**საქართველოს სწორედ ის მხარეები წარგვიტყვენეს, სადაც ღვიოდა ცეცხლი ჩვენის კულტურისა, და რომელსაც ეჭირა გეოგრაფიულად საუკეთესო სავაჭრო და სხვაგვარად საჭირო ადგილნი ჩვენის ქვეყნისა. თუ ისინი არ დავიბრუნეთ—შეუძლებელია აღდგენა ქართულ ეროვნულ საზოგადოებისა.**

აი პრობლემა, ამ პრობლემის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ჩვენი ხსნა. დღეს ამ ნაწილებში ნამთებილია მხოლოდ ჩვენი ერისა. ღირს თუ არა ამ ნამთის განახლება, ხელ-ახლა ქართულ ეროვნულ

ქმედებას თავრიზში და იმ შედეგს, რომელიც ამ მოქმედებას მოჰყვა. თავდაპირველად იგი აწერს, თუ რა ძლიერ ალიაპარაკა და ფეხზე დააყენა მთელი თავრიზი სათარ-ხანის და მის ამხანაგების ოსმალეთის საკონსულოში ბესტში ჩაჯდომამ:

„გუშინ წინ დილით ადრე ხმა გავარდა, რომ სათარ-ხანი და მისი ამხანაგები ოსმალეთის საკონსულოს ბესტში ჩასხდნენო. მალე მთელი ქალაქი მარტო ამ ამბავზე-ღა ლაპარაკობდა. ბაზრებსა, ჩაიხანებსა, თუ ქუჩებში ერთი და იგივე ისმოდა: „ისინი ბესტში ჩამსხდარანო“.

ოსმალეთის საკონსულოში მიმავალი გზები მაშინვე გაივსო ხალხით: ზოგი სათარ-ხანის სანახავად მიდიოდა, ზოგი ისე ამბების გასაგებად.

ნაშუადღევის ორ საათზე უფრო მეტი ხალხი გაემართა საკონსულოსკენ: ვაჭრებმაც, სათარ-ხანის მაგალითით მოინდომეს ბესტში ჩაჯდომა, მათაც სთხოვეს დახმარება ოსმალეთს. ამ ვაჭრებში, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ საკონსულოში, რამდენიმე ნაცნობი შევხვდი, მაგრამ მათ ეხლა უგულო სალამი-ღა მომცეს. უცნობებმა ხომ ცხადის მტრულის გრძნობით შემომხედეს, ან არა და სულ პირი მიიბრუნეს. თავრიზელებს თვალში აღარ უზის „ურუსი“.

სათარ-ხანი დილის 6 საათზე თავის ცხენოსნებით ჰენებით მისულიყო, ოსმალეთის საკონსულოს კარი დაეკაკუნებინა და კონსულსაც დიდის სიამოვნებით გაეღო მისთვის თავისი კარები. ეს საქციელი იმდენად მოულოდნელი იყო ევროპიელებისთვის, რომ ლილავასა და არმენისტანში (უბნებია, სადაც ევროპიელები დგანან) მთელი დღე პირში კატა ნაცემებივით გამოიყურებოდნენ.

ნაცნობები, შეხვედრის წამს, გაკვირვებით იქნევდნენ თავსა და გესლიანად იცინოდნენ:

— ნეტა რა გუნებაზე იქნებიან ეხლა რუსეთის საკონსულოში.

ბესტში ჩაჯდომა სპარსეთში არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ გასაკვირველი და ახალი ის იყო, რომ ეს ბესტი რუსეთის წინააღმდეგ მოიხმარეს. აქამდე სპარსელები მხოლოდ შაჰს დაემალებოდნენ ხოლმე ბესტში. როდესაც სათარ-ხანი, ბაღარ-ხანი, მათი ცხენოსნები და ვაჭრები ბესტში ჩასხდნენ, ერთმა მკითხა:

— რად ჩასხდნენ? განა შაჰმა მათი დაჭერა მოინდომა?

მე უპასუხე: არ ვიცი მეთქი. სირცხვილით ვერ უთხარ სიმართლე, რომ ისინი შაჰს-კი არა, რუსებს დაემალნენ ბესტში.

რუსის ბანკში, თუ გენ. სნარსკის რაზმში, თუ რუსის საკონსულოს კანცელარიაში, ერთის სიტყვით, ყველგან, სადაც რუსის პოლიტიკის „მკეთებელნი“ სხედან, ერთხმად მითხრეს:

— ეს სულ უცხოელების ბრალია ოსმალების ინტრიგაა. ოსმალებმა ურჩიეს და ისინიც ჩასხდნენ ბესტში.

— იქნება ცოტა ჩვენი ბრალიც იყოს? იქნება მეტად სასტიკად ვექცეოდით?

— რას ამბობთ, თუ ღმერთი გწამთ. თქვენ არ იცნობთ აღმოსავლეთის ხალხს. თუ გამარჯვება გინდათ, უნდა ნამდვილის აღმოსავლეთურის სისასტიკით მოექცეთ სპარსელებს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში სუსტად ჩაგვთვლიან. ჩვენ მეტად რბილად ვეპყრობით მათ,—აი სადაა ჩვენი შეცდომა! ცემა-ტყეპა უნდა მათ!

ასეთივე აზრისაა აქაურ რუს მოხელეების უმეტესობა:

„ეს სულ იმისი ბრალია, რომ მეტად ნაზად ვექცევით ამ ყიზილბაშებსაო“.

ასეა, თუ ისე, რუსების მოქმედებას მაინც საოცარი შედეგი მოჰყვა. თავრიზის დამშვიდება და ადერბეიჯანში ჩვენის გავლენის გაძლიერება გვინდოდა, ნამდვილად-კი ისე წავიყვანეთ საქმე, რომ მალე სპარსეთს შევაძულეთ თავი. სპარსელები შველას სთხოვენ ოსმალებსა და გერმანელებს და ლამის ბოიკოტი გამოუცხადონ რუსის საქონელს. ერთის ავსტრიულ ფირმის წარმომადგენელმა მითხრა:

— სპარსეთის პროვინცია ჯერ არა ყიდულობს ჩვენგან, მაგრამ მალე ისიც იყიდის... ხა-ხა!

რუსების ყოფნა და ქცევა თავრიზში ძლიერ ახარებს ამ წარმომადგენელს. მან თურმე უკვე დეპეშა გაგზავნა ვენაში: რუსის საქონელთან კონკურენცია თან და თან გვიადვილდება. ამას გარდა, ამავე ავსტრიულ ფირმას სწადიან კონცესიის აღება თავრიზში ტრამვაის გასაყვანად, ელექტრონის განათებისა და ტელეფონების მოსაწყობად და სხვ. ამ ფირმის წარმომადგენელს სიხარულისგან ცათა ფრენა ეკიდება!..

რუსის ვაჭრების წარმომადგენელნი-კი დამწარებულნი სხედან: აღარავინ აღარ ყიდულობს მათ საქონელს.

სპარსელებს ნამდვილად შესძულდათ ყველა რუსი და ყველაფერი რუსული. ჩვენს ჯარისკაცებს ხომ მგლებივით უყურებენ. როცა რუსის ჯარისკაცები მხიარულ სიმღერით მიდიან ქუჩებში, თან უსტვენენ და ყოჩაღად აბაკუნებენ წაღის ქუსლებს, — გულ მოსული სპარსელები აჯავრებენ მომღერლებს და თითონაც შემოსძახებენ ხოლმე რუსებისთვის საწყენ სიმღერას იაპონიის ომზე...

# რუსეთი

✦ **საინტენდანტოების მოხელეების ზნე-ჩვეულებანი.** მოსკოვის საინტენდანტოს რევიზიის შემდეგ აღძრეს საკითხი, რომ პეტერბურგის საინტენდანტოს საჭიროა გაუკეთდეს რევიზია. პეტერბურგის საინტენდანტოში იმის გარდა, რომ მოხელეები სხვებისგან იღებდნენ ქრთამებს... ერთმანეთსაც ართმევენ თურმე. საინტერესო ის არის, რომ მოხელეები არა სცდილობენ თურმე რომ ამაღლება მიიღონ, პირიქით ყველანი სცდილობენ, რომ დაბალ ხარისხის ადგილზე იყვნენ, მაგრამ ეს ადგილი „შემოსავლიანი“ იყოს. ხშირია ისეთი შემთხვევები, რომ 3—6 კლასის მოხელეები მე 10—13 კლასის მოხელის ადგილზე სხედან და მცირე ჯამაგირსაც იღებენ, მხოლოდ ეს კია, რომ მეტი «შემოსავალი» აქვთ. რომ უფრო „შემოსავლიან“ ადგილზე დარჩნენ უფროსებს ქრთამებს აძლევენ. მაგალითად მიმკინი ამისთანა შემთხვევებში 300 მანეთზე ნაკლებს არ იღებდა. მიმკინი უკვე სამართალში მისცეს. ამას გარდა მოხელეები ერთმანეთს ჰყიდიან ადგილებს თურმე. როგორც მოხელეების წრეებიდან გაიგო რეჩმა, ქრთამების აღება ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულა, რომ მოხელეები ერთმანეთში, საჯაროდ ლაპარაკობენ ხოლმე, ვინ რამდენი აიღო და ხომ არ მოატყუა «ძუნწმა მექარხნემ». როდესაც რომელიმე მოხელე ქრთამს აიღებს, ამხანაგები შეიყრებიან და მსჯელობენ იმაზე, თუ რამდენი ერგებოდა და რამდენი აუღია. ნამეტან სასაცილოდ იგდებენ ისეთ მოხელეებს, რომლებიც ცოტას იღებენ. ისეთებს კი, რომლებიც ხელ არ იღებენ მოხელეები „რეგვენებს“ ეძახიან. «საუბედუროდ» ასეთი რეგვენები ძალიან ცოტანი ყოფილან. მოსკოვის საინტენდანტოში ათის წლის განმავლობაში სულ რამდენიმე «რეგვენი» ყოფილა. თუ „რეგვენი“ აშკარად ხელს არ უშლიდა, მარტო დაცინვით რჩებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი... ითხოვდნენ. თუ სადამდის მიდის ქრთამის აღება, ეს იქიდანაც სჩანს, რომ საინტენდანტოში ზოგიერთ მოხელეებს ყულაბები ჰქონდათ თავიანთ სტოლებზე. ვისაც რაიმე ცნობის მიღება უნდა, ამ ყულაბაში ხელ ცოტა 25 მანეთი მაინც უნდა ჩაეგდო,—წინააღმდეგ შემთხვევაში ზარბაზანიც რომ გაისროლოთ ხმას არავინ ამოიღებს. ეს ყულაბა, გარდა სხვა ქრთამებისა, დიდ შემოსავალს იძლევა, და ყველა მოხელეები ამ ადგილს მესტრფოდნენ და მესტრფიან. საინტერესო კიდევ ის არის, რომ მარტო დაბალი მოხელეები კი არ აძლევდნენ ქრთამებს უფროსებს, არამედ უფროსები თავიანთ ხელქვეითებს. (რ. ს.)

✦ **თვითმკვლელობა პეტერბურგში.** პეტერბურგის ქალაქის თვითმართველობამ გამოაქვეყნა ცნობა, საიდანაც სჩანს, რომ პეტერბურგში მარტში თავი მოიკლავს 123 კაცს. თებერვალში თავი მოიკლა 107 კაცმა. ამ რიგად მარტში უმატნია თვითმკვლელობის რიცხვს.

✦ **სატუსაღოებში.** სახელმწ. სათათბიროს დეპუტატ პოკროვსკის ვიატკის სატუსაღოდან წერილი მიუღია. წერილში სწერია, რომ ციხის ადმინისტრაცია ტუსაღებს ცემით ხოცავსო, ამ დღეებში აქ 50 ტუსაღს სცემესო. ასეთივე შინაარსის თხოვნა ტუსაღებს ადგილობრივ გუბერნატორისთვის გაუგზავნიათ. დაუთხოვნიათ ციხის ზედამხედველის თანაშემწე.

✦ **აღკრძალვა.** «კიევს. მისლი»-ს სიტყვით ხარკოვში ადგილობრივ ადმინისტრაციას სინემატოგრაფებისთვის აუკრძალავთ პერგამენტის დასაფლავების ჩვენება.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ჩერნიგოვში 1, პსკოვში 1, ეკატერინოსლავში 3, კიევში 2, ოდესაში 3, უფაში 2, ხარკოვში 1, პეტერბურგში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ეკატერინოსლავში 1, კიევში 1, რიგაში 1, პეტერბურგში 2, ხარკოვში 1, ოდესაში 2, ვარშავაში 1 კაცი.

გუშინ ჩვენ ცნობა მოვიყვანეთ, რომ მაისის განმავლობაში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს 192 კაცს, და სიკვდილით დასაჯეს 32 კაციც. აქედან სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ: ეკატერინოსლავში—4, ხარკოვში—14, მოსკოვში—12, ნოვოჩერკასკში—14, რეველში—10, კურსკში—9, ჩერნიგოვში—9, ვილნოში—3, კიევში—3, ვარშავასა და ხარკოვში—4 (თითოში) და სხვა.

✦ **ტურუხანის მხარეში გადასახლებულნი.** „კიევ. მის.“ სიტყვით 10 წლის განმავლობაში (1908—1908 წლამდის) ტურუხანის მხარეში გადაუსახლებიათ 12,000 პოლიტიკური დამნაშავე, აქედან იქვე გარდაცვლილა 2,000 კაცი.

✦ **განკარგულება.** ტავრიდის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს ბრძანება გაუცია, სახალხო სკოლებში ლ. ნ. ტოლსტოის სურათები ჩამოხსნიან და მომავალში ნუღარ მკიდენთ ამ სურათებსო.

# უცხოეთი

**გერმანიის და რუსეთის იმპერატორების შეხვედრა.**

„ტაიმს“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: „ნოვოე ვრემია“-მ წერილი დაბეჭდა რუსეთ-ინგლისის მეგობრობის წინააღმდეგ. წერილის ავტორი ჩივის, რომ რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი ინგლისის მთავრობის ბრძანებაზე დადის... რუსეთის გავლენიანი წრეები ამ ჟამად განზრახ აპირებენ გერმანიის იმპერატორის ვიზიტს. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს შეხვედრა სრულიად შეარიგებს რუსეთსა და გერმანიას და ინგლის-რუსეთის შეთანხმებას შეასუსტებსო.

იტალიური გაზ. „კორიერე დ'იტალია“ ამბობს, რომ იმპერატორების შეხვედრას შედეგად მოჰყვება რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმების შესუსტება და გერმანიის გავლენის გაძლიერება, რაც საზარალო იქნება რუსეთის ახალი წყობილების მომხრეებისთვისო.

გერმანული პრესა კი მაინც და მაინც დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას როდი აძლევს ამ შეხვედრას და ამტკიცებს, რომ იგი არავითარ გავლენას არ იქონიებს ეხლანდელ კავშირებსა და შეთანხმებაზეო.

**რუს-ხელმწიფისა და ინგლისის მეფის შეხვედრის გამო.**

ინგლისის პირველი მინისტრი ასკვიტი დაჰპირდა დეპუტატებს, რუს-ხელმწიფის ინგლისში მოსვლის თაობაზე მოხსენებას ივლისის გასულს წარმოუდგენ პარლამენტსო.

---

სულის ჩაბერვა დროთა ვითარებისაგან ჩვენგან წართმეულ სხეულების საუკეთესო ნაწილში? გადასახლებულნი ამ დიად საქმეში დიდ დახმარებას გაგვიწევენ, რადგან მათ შორის **ინტელიგენციაა**, რომელსაც ჯერ კიდევ სრულიად არ დაუკარგავს ეროვნება, ქართველობა. ღირს თუ არა მათი დახმარება და მათი გამოყენება დიად ეროვნულ საქმისათვის? თუ კი სადმე დანგრეულ ტაძართა აღდგენა ღირს შრომად, მთელ ეროვნულ ცოცხალი ნაშთის აღდგენა მით უფრო წმინდა მოვალეობა არ უნდა იყოს ყველასი, მით უმეტეს, რომ სწორედ ის ადგილები და ის ელემენტები წარმოადგენენ დღეს საცოდავ ნაშთებს, რომელიც ძირი, საძირკველი იყო და უნდა იყოს საქართველოისა, თუ საქართველოს კიდევ იმედი მაინც აქვს მომავალ ეროვნულ ცხოვრებისა?

მაგრამ, ვაი რომ თვით ჩვენა ვართ, ჩვენ, შუა-გულ საქართველოში, საცოდავი ნაშთები! არას ვიტყვი, საზოგადოდ, ჩვენის ცხოვრების დამცირებაზე, დაცემაზე და სიდუხჭირეზე. ეს ყოველი კარგად ცნობილია ჩვენში, მუდმივი საგანი ლაპარაკისა, საჯარო და კერძო მსჯელობისა. პირადად ყოველი ჩვენგანიც კი საცოდავი ნაშთია ერთ დროს არსებულ მტკიცე ხასიათის მქონე ერისა. სწორედ ასეთ საგანზე ლაპარაკის დროს გამოვარდება რომელიმე ჩვენივე მოძმე, მწერალის სახელის მატარებელი, და ერთს ისეთს უშნოდ და ულაზათოდ გაიცინებს, ისეთის ბოროტ-საწადელით აღსავსე, მაგრამ უძლური ბოროტის კილოთი ესვრის თუმცა გაცვეთილს, მაგრამ მაინც მის აღმზრდელ საქართველოს ნიადაგის მუდამ მტკაპნელ ტლინკებს... იმავე სპარსელ ქართველებს, რომ ადამიანი განცვიფრებაში მოდიხარ,—ეს რა ტიპი დაბადებულა საქართველოში, ვინ არის, ან რისი მომასწავებელია,—ჩვენი ისეთ დაცემისა და დაუძლურებისა, რომ „მოყვრისგანაც“ კაცად არ მიჩნეული ამისთანა ვაჟბატონები წამ-და-უწუმ შეურაცხყოფას აყენებენ კიდევ რაღაც დარჩენილ ჩვენ წმინდა გრძნობებსა, თუ მტრის ჭკუის სიმჩატესა, რომ ასეთ რაღაცებს და არა ვიღაცებს ირჩევს ნახევრად მაინც ცოცხლად დარჩენილი ერის წინააღმდეგ საბრძოლველად? მერე რამდენია საქართველოში ამგვარი ტიპი, რომელთაც, საბედნიეროდ, წერა არ იციან!

ანდა თქვენი მორჩილი მონა.. გუშინ წინ ჩემს მეგობრებთან ფრიად საინტერესო საგანზე ვკამათობდი. ძლიერ გაცხარდით. მე ჯერ ქართულად დავიწყე, მაგრამ რომ აღარ მეყო ქართული, ჩემდა შეუმჩნევლად მოვყევ რუსულს, ჩამოვატყავე მთელი თეორიები, ვილაპარაკე თითქმის ერთს საათს რუსულად, და მერე როგორი რუსულით!.. ისეთი რუსულით, როგორიც გესმით ხოლმე ჩვენ დაწესებულებებში და განსაკუთრებით სათავად-აზნაურო კრებებზედ, სადაც ქართული აღარ ისმის ციცერონის სიკვდილის შემდეგ: კომენტარიები საჭირო აღარაა.

და მარტო ენა აჭრელდა ჩვენი, შუა-გულ საქართველოში მცხოვრებ ქართველთა? აჭრელდა თვით გული, გრძნობა, სული, ხასიათი, ვით რუკა საქართველოს ტერიტორიისა. როგორაა სიმტკიცეს მოკლებული ჩვენი ბუნება,—სიმტკიცესა და მთლიანობას. ჭრელი გულით, ჭრელი ენით, ჭრელი გრძნობითა და აზროვნებით, ჭრელი მთელის არსებითა,—აი რანი ვართ დღეს. მიჩვენეთ ერთი **ნამდვილი** ქართველი თვით შუა-გულ საქართველოში! ვერა, ვერ მიჩვენებთ! პატარა ხანს იქით ტიპიც „აჭრელდება“ ჩვენი, და განა ასეთნაირად დახრული და თვით თავის ბუნაგში სიჭრელე-მოკიდებული ერი დაკარგულსა და საუკუნოთა უწინარესს მოჭრილ სხეულის ნაწილებს კვლავ შეასისხლ-ხორცებს?!

ვეჭვობ, თუმცა კი:

**„რა მიჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“.**

B.

---


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანცისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო; ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარცინევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—104)


# განცხადება

**ტფილისის სათავად-აზნაურო სა-ადგილ-მამულო ბანკის გამგეობა.**

ხსენებულ ბანკის წესდების მე-14 §-ის ძალით, აცხადებს, რომ ამა 1909 წლის ივლისის თვეში, ბანკის სადგომში, ტფილისს (ფრეილინის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი) საჯაროდ გაიყიდება ქვემოდ აღნიშნულ პირთა ის უძრავი მამულები, რომელიც ამ ბანკშია დაგირავებული, რადგან პატრონთ არ შემოუტანიათ ბანკის წესდების 12, 17, 27, 28 და 36 §§-ით დაწესებული გადასახადები 1909 წლის 1-ლ იანვრიდან 1909 წლის პირველ ივლისამდე.

საჯარო ვაჭრობა მოხდება: 1) ქალაქის მამულებისა, რომელიც ტფილისის ქალაქშია და რომლებზედაც გრძელვადიანი სესხია გაცემული—13 ივლისს 1909 წ. 2) რომელიც სხვა ქალაქებშია, აგრეთვე სხვა ადგილებში, სადაც მამულები იგირავება გრძელ ვადით, როგორც ქალაქის მამულები—15 ივლისს 1909 წ.; 3) სოფლის მამულებისა, რომელზედაც გაცემულია როგორც გრძელ-ვადიანი, ისე მოკლე ვადიანი სესხი—17 ივლისს 1909 წელს.

თუ აღნიშნულ დღეებში ვაჭრობა არ მოხდა, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, ბანკის წესდების მე 20 §-ის ძალით, მოხდება იმავე გამგეობაში 31 ივლისს 1909 წელს.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-17 §-ის ძალით, დაიწყება ძირითად ვალის იმ დარჩენილ ჯამებიდან, რომელიც ქვემოდ არის აღნიშნულ ბანკის გადასახადის ნედოიმკებისა და აგრეთვე სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადების და მათ ნედოიმკების დამატებით.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ვისაც სურს შეისყიდოს ის მამულები, რომელზედაც თუმცა მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული, მაგრამ ვალის გადახდის ვადა არ შესრულებია, მოვალეა წარმოადგინოს ნაღდ ფულად ბე; ბე იმდენი უნდა იქნას, რამდენიც ბანკის გადასახადის ნედოიმკა, აგრეთვე რამდენიც სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადების ნედოიმკები იქნება ვაჭრობის დღემდე გასასყიდ მამულზე. ხოლო ვისაც იმ მამულების შესყიდვა სურს, რომელზედაც მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული და რომლების თავნი ვალის გადახდის ვადა უკვე დადგა, მოვალეა წარმოადგინოს ბე, გარდა ზემოდ აღნიშნულისა, კიდევ 10 პროც. თავდაპირველის თავნი ვალისა.

დამტკიცების ხარჯი და ის ზედმეტი ფული, რომელიც ვაჭრობაზე ეძლევა ბანკს, მყიდველმა უნდა წარმოადგინოს 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

თავნი ვალი იმ მამულებზე, რომლებშიაც გრძელ ვადიანი სესხია გაცემული, აგრეთვე იმ მამულებზე, რომელშიაც გაცემულია მოკლე-ვადიანი სესხი და ვადაც არ გასულა, მყიდველს შეუძლიან თავის თავზე გადაიტანოს წინანდელ პატრონის ყველა ვალდებულებებით; ხოლო იმ მამულებზე, რომელზედაც მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული და ვადა უკვე გასულა, დარჩენილი თავნი ვალი სრულიად უნდა იქნას გადახდილი ნაღდ ფულად 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

ბანკის წესდების მე-15 §-ის ძალით, პატრონს შეუძლია შემოიტანოს ნედოიმკები ვაჭრობის დღემდე და ამ რიგად განთავისუფლოს მამული გაყიდვისაგან.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია გაიცნოს ყველა საქმე გასასყიდ მამულების შესახებ ბანკის კანცელარიაში ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა. ამასთანავე ბანკი წინდაწინვე უცხადებს მამულების მყიდველთ, რომ ბანკი პასუხს არ აგებს, თუ დაგირავებულ გასასყიდ მამულების აღწერა არ ეთანხმება მამულების დღევანდელ მდგომარეობას.

**1**

**ქალაქის მამულები**

**რომლის გირაოთიც გაცემულია გრძელ ვადიანი სესხი**

საჯარო ვაჭრობა 13 ივლისს 1909 წ.

**ტფილისის გუბერნია**

**ქალ. ტფილისში**

აბაშიძისა-საფაროვი მარიამ მიხეილის ასული: შენობები მიწა ზომით 53 ნახევარი ოთხკ. საჟენი; 1 ნაწილში, მატერიალნის ქუჩაზე.

თავნი ვალი 2944 მ. 76 კ., ნედოიმკა 138 მ. 76 კ., სულ 3083 მ. 52 კ.

აბოევი გეურქ ოჰანესის ძე: მიწის ნაჭერი, ზომით 1966 ოთხკ. საჟენი; მე-7 ნაწილში, კახეთის ქუჩაზე.

თავნი ვალი 5418 მ. 59 კ., ნედოიმკა 429 მ. 5 კ., სულ 5847 მ. 64 კ.

[illegible]: შენობები, მიწა ზომით დაახლოვებით 741,5 ოთხკ. საჟ.; 3 ნაწილში, [illegible] კოლოთის ქუჩაზე.

თავნი ვალი 108371 მ. 88 კ., ნედოიმკა 19675 კ., სულ 128047 მ. 32 კ.

აბოევი გეურქ ოჰანესის ძე (იგივე ივანეს ძე): მიწის ნაჭერი, ზომით 3337,3 ოთხკ. საჟენი; 1 ნაწილში, მოსკოვის ქუჩის ზემოდ, უსახელო გორაზე.

თავნი ვალი 2167 მ. 42 კ., ნედოიმკა 157 მ. 55 კ., სულ 2324 მ. 98 კ.

აბულაძისა ნინო ქრისტეფორის ასული: შენობები, მიწა ზომით 9[illegible] ოთხკ. საჟ. 9 ნაწილში, მიხეილის ქუჩაზე.

თავნი ვალი 23220 მ. 38 კ., ნედოიმკა 1092 მ. 4 კ., სულ 24312 მ. 42 კ.

ავეტიქოვისა ევგენია ვასილის ასული: შენობები, მიწა ზომით დაახლოვებით 300 ოთხკ. საჟ., მე-[illegible] ნაწილში, ვორონცოვის ქუჩაზე.

თავნი ვალი 2245 მ. 70 კ., ნედოიმკა 110 მ. 2 კ., სულ 2355 მ. 72 კ.

ავეტისოვი არტემ ოვაკიმის ძე: შენობები, მიწა ზომით 196 ოთხკ. საჟ., მე-6 ნაწილში, სუმბათოვის ქუჩაზე.

თავნი ვალი 16093 მ. 86 კ., ნედოიმკა 1156 მ. 76 კ., სულ 17250 მ. 62 კ.

ავეტისოვი სერგო ოვაკიმის ძე: შენობები, მიწა ზომით 122,14 ოთხკ. საჟენი; მე 10 ნაწილში, ბულვარის ქუჩაზე.

თავნი ვალი 18631 მ. 17 კ., ნედოიმკა 820 მ. 90 კ., სულ 19452 მ. 7 კ.

ალავეროვი კირიკ ხანუმა ბახტიარ-ბეგ-ყიზი და მურსაკულოვი ჯავან ხანუმა აბას-ყული ბეგ: შენობები, მიწა ზომით 296 საჟ და 5 არშინი ოთხკ; მე 6 ნაწ., სეიდა-ბადის აღმართზე და ყრუ შესახვევში.

თავნი ვალი 4945 მ. 69 კ., ნედოიმკა 224 მ. 68 კ., სულ 5170 მ. 37 კ.

ალავეროვი მირზა-ყული-ბეგ: შენობები, მიწა ზომით 22 საჟ., და 2 არშ. ოთხკ. მე-6 ნაწილში, აბანოს ქუჩაზე.

თავნი ვალი 3675 მ. 45 კ., ნედოიმკა 259 მ. 12 კ., სულ 3934 მ. 57 კ.

აჰარონოვისა ეკატერინე იაგორის ასული: შენობები, მიწა ზომით დაახლოვებით 32 ოთხკ. საჟ; მე 5 ნაწილში, თომას შესახვევში.

თავნი ვალი 2514 მ. 66 კ., ნედოიმკა 194 მ. 58 კ., სულ 2709 მ. 24 კ.

ალნიაშვილისა მარიამ მიხეილის ასული: შენობები, მიწა ზომით 150 ოთხკ. საჟ.; მე-5 ნაწილში, არღუთინსკის ტუპიკში.

თავნი ვალი 2664 მ. 23 კ., ნედოიმკა 152 მ. 29 კ., სულ 2816 მ. 52 კ.

ალნიაშვილისა ელისაბედ სიმონის ასული: შენობები, მიწა ზომით 90 ოთხკ. საჟ., მე-3 ნაწილში, სამების ქუჩაზე და შესახვევში.

თავნი ვალი 9375 მ. 83 კ., ნედოიმკა 367 მ. 78 კ., სულ 9743 მ. 61 კ.

ადამიძე ანდრია ილარიონის ძე: შენობები, მიწა ზომით 136 ოთხკ. საჟ.; მე 10 ნაწ., დიდუბის ქუჩაზე.

თავნი ვალი 1444 მ. 96 კ., ნედოიმკა 294 მ. 14 კ., სულ 1739 მ. 10 კ.

აივაზოვი ბაბა გიორგის ძე: შენობები, მიწა ზომი 95 ოთხკ. საჟ.; მე-10 ნაწ., დიდუბეში, პროექტიროვანი ქუჩაზე.

თავნი ვალი 12494 მ., ნედოიმკა 522 მ. 55 კ., სულ 13016 მ. 55 კ.

აკოფაშვილი მელანია გიორგის ასული: შენობები, მიწა ზომით დაახლოვებით 91,8 ოთხკ. საჟ.; მე-9 ნაწილში, არსენალის ქუჩაზე.

თავნი ვალი 8879 მ. 42 კ., ნედოიმკა 377 მ. 78 კ., სულ 9257 მ. 20 კ.